

დამტკიცებულია სკოლა
„ალბიონის“ პედაგოგიური
საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 1 01.09. 2023



სკოლა „ალბიონის“
დირექტორი
ალ. ჯავახიშვილი

01. 09. 2023 წ.

არასახელმწიფო საერო სკოლა
„ალბიონი“

სასკოლო სასწავლო გეგმა

2023-2024 სასწავლო წელი

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“

2023-2024 სასწავლო წელი

სასკოლო სასწავლო გეგმა

1. შესავალი

1996 წლიდან მუდმივი განახლებასა და განვითარებაზე ორიენტირებული სკოლა „ალბიონის“ დამფუძნებელი ალექსანდრე ჯავახიშვილი და მაღალი პროფესიონალიზმით აღჭურვილი პედაგოგიური კოლექტივი წარმატებით ახორციელებენ საგანმანათლებლო საქმიანობას დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესასრულებლად.

სკოლის სასწავლო გეგმა ეფუძნება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილებით დამტკიცებულ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმას და გამომდინარეობს სკოლის მისიიდან.

სკოლის წარმატებული მუშაობის მთავარი გარანტი სწორად არჩეული პრიორიტეტებია, როგორცაა:

- მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის დახვეწასა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა
- მოსწავლეთა ინდივიდუალურ სასწავლო შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის წარმართვა
- მოსწავლეთა მყარი, გააზრებული და დინამიკური ცოდნით შეაიარაღების ხელშეწყობა
- სტანდარტით გათვალისწინებული საგნებისა და სტანდარტსწვევით სწავლების ხარისხის ზრდა
- მოსწავლეთა სასწავლო ინტერესების გათვალისწინებით არაფორმალური განათლების დანერგვა და მუდმივი ზრუნვა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივების, მოსწავლეთა სწორი აღზრდისა და ჰარმონიული განვითარებისათვის, უსაფრთხო და შემოქმედებითი გარემოს ფორმირებისათვის
- სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

სკოლის სასწავლო გეგმა მუდმივად განიცდის სრულყოფას თანამედროვე მოთხოვნებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. იგი მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სახელმწიფო სტანდარტს და სტანდარტსწვევით სწავლების საგნების ბლოკს.

სკოლის დაარსებიდან დღემდე დაწყებითი საფეხურის კლასები მუშაობენ საგნობრივი განაწილების პრინციპით.

2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში 39 კლასია. სკოლის ყველა კლასს ჰყავს აღმზრდელი.

სასკოლო სასწავლო გეგმაში დაზუსტებულია და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული საათობრივი დატვირთვა და სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით განსაზღვრულია დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება; დაგეგმილია სასკოლო-საგანმანათლებლო ღონისძიებები;

სასწავლო გეგმა, როგორც სავალდებულო დოკუმენტი, მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას, და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებათა აღწერას, რომელთა დიდი ნაწილი ასახულია სასწავლო გეგმის დანართებში.

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონ“-ში ესგ-ს შესაბამისად საგანმანათლებლო პროცესი იყოფა სამ საფეხურად:

- დაწყებითი საფეხური – I-VI კლასები
- საბაზო საფეხური – VII – IX კლასები
- საშუალო საფეხური – X-XII კლასები

ზოგადი და საშუალო განათლების საფეხურების ამოცანები, სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგანმანათლებლო ამოცანებს:

დაწყებითი საფეხურის მისიაა:

- საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
- საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;
- სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.

საბაზო საფეხურის მისიაა:

- საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება და ცოდნის ტრანსფერის უნარის განვითარება
- მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა
- მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარება
- აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა და საფუძველების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის.

საშუალო საფეხურის მისიაა:

- საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;
- მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში არსებული გამოწვევებისა და მოსწავლეთა მშობლების დაკვეთის გათვალისწინებით, კურსდამთავრებულთა შესაძლებლობების რეალიზაციის ხელშესაწყობად სკოლა, აგრეთვე, მიზნად ისახავს დამატებითი (კვირეული დატვირთვის ზრდის ხარჯზე) საგანმანათლებლო მომსახურების საშუალებით რიგი საგნების: ქართული ენისა და ლიტერატურის, ინგლისური ენისა და მათემატიკის სწავლების გაღრმავებას და სხვა სახის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების დანერგვას.

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურებას, რაც ითვალისწინებს სავალდებულო სტანდარტსზევით სწავლებას შემდეგ საგნებში:

- ა) სახალისო მათემატიკა (V – VI კლასები)
- ბ) მეტყველების კულტურა (I – IV კლასები)
- გ) ქცევის კულტურა (I – IV კლასები)
- დ) რითმიკა (I – II კლასები).
- ე) ჭადრაკი (III – IV კლასები).

მოზარდის მრავალმხრივი ფიზიკური და გონებრივი უნარების განვითარებისათვის სკოლაში შემოღებულია სპორტის შემდეგი სახეობების სწავლება: ფიზიკური აღზრდა და სპორტი I - XII კლ, კალათბურთი, ფეხბურთი, ფრენბურთი (VII-

XII კლასები), ჭადრაკი (I – IV კლასები. I – II კლასებში ესგ სტანდარტის, ხოლო III – IV კლასებში სასკოლო სტანდარტის ფარგლებში), რითმიკა (I – II კლასები).

სკოლამ 2021-2022 სასწავლო წელს დაიწყო სისტემური მუშაობა მოსწავლეებში ისეთი საბაზისო უნარ-ჩვევების განვითარებაზე, როგორცაა წიგნიერება. მიღებული გამოცდილების საფუძველზე 2023-2024 სასწავლო წლიდან მიზნად ვისახავთ ზრუნვას დაწყებით საფეხურზე მრავალფეროვანი მხატვრული, ინფორმაციულ-შემეცნებითი, ყოფით-პრაგმატული ტექსტების წაკითხვის, შექმნის, განხილვის, გადამუშავების, სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებისა და კრიტიკული გააზრების უნარების განვითარებაზე. I-V კლასებისათვის მომზადდა შესაბამისი ტექსტური და ტესტური მასალა.

სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული, მზრუნველი და მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნას და მოსწავლის პიროვნული, შემოქმედებითი და კომუნიკაციური რესურსების განვითარებას, ჯანსაღი სასწავლო და სააღმზრდელო გარემოს შექმნას; ეხმარება მოსწავლეებს, მათ ოჯახებს, მასწავლებლებსა და სკოლასთან დაკავშირებულ სხვა ადამიანებს მათ წინაშე მდგარი გრძელვადიანი გამოწვევებისა და მოცემულ მომენტში არსებული საჭიროებების დანახვასა და გამოსავლის ძიებაში. ახდენს მშობელთა ინფორმირება/კონსულტირებას აღსაზრდელის ასაკობრივი თავისებურებების, სასწავლო და ქცევითი საჭიროებების შესახებ.

სკოლაში პრიორიტეტულია საერთო კულტურის ჩამოყალიბებისათვის ზრუნვა, ამიტომ ესგ მოთხოვნათა გათვალისწინებით, მიმდინარე სასწავლო წლიდან, სასკოლო საზოგადოების ძირითადი პრიორიტეტები იქნება:

- ა) **კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;**
- ბ) **გარემოს დაცვა;**
- გ) **ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;**
- დ) **სამოქალაქო ცნობიერების განვითარება;**
- ე) **კონფლიქტების მართვა;**
- ვ) **წიგნიერება;**
- ზ) **კულტურული მრავალფეროვნება;**
- თ) **ადამიანის უფლებები.**
- ი) **თანამშრომლობა საერთო მიზნის მისაღწევად.**

2023-2024 სასწავლო წელს სკოლის ყველა საგნობრივი კათედრა მინიპროექტებს წარმართავს ერთერთი სახელმწიფო პრიორიტეტის, „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“, თემაზე. მიმდინარეობს მუშაობა სასკოლო პროექტის „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზიარების ხელშემწყობი პირობა (პირობითი სათაური)“ დაგეგმვასა და განხორციელებაზე.

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მათში მუდმივი თვითგანვითარებისადმი ინტერესის ფორმირებისა და თავისუფალი აზრის გამოთქმის და განსხვავებული აზრის პატივისცემის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ინტერესთა კლუბებს „გეოგრაფოსი“, „ფსიქოლოგიის მოყვარულთა“ კლუბი, წიგნის კლუბებს - “Kings and queens club” (ორგანიზაცია English BOOK education - თანამშრომლობით) და „წიგნისმოყვარულთა“ (ასაკობრივ) სასკოლო კლუბებს, „ქართული კალიგრაფიის“ წრეს; მოქმედებს “ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ალბიონი“. გარდა ზემოჩამოთვლილისა სკოლაში იგეგმება კალათბურთის წრის ამოქმედება. ჩამონათვალი შედგა 2021-2022 და 2022-23 სასწავლო წლის ბოლოს სასწავლო გარემოს შესაფასებლად მოსწავლეთა გამოკითხვის საფუძველზე.

მოსწავლეთა მშობლების დაკვეთის შესაბამისად სკოლაში ტრადიციულად იმუშავებს გახანგრძლივებული დღის ჯგუფი.

2019-2020 და 2021-2022 სასწავლო წლებში კორონავირუსის ეპიდემიით გამოწვეული საყოველთაო კარანტინის პირობებში სკოლა სწრაფად გადაეწყო ონლაინსწავლებაზე, გააძლიერა შესაბამისი ტექნოლოგიების ბაზა და მონიტორინგი და დახმარება ონლაინ სწავლებაზე. შესაბამისად, საერთო ძალისხმევით სკოლის ყველა მოსწავლე ჩაერთო სწავლებაში და დაძლია სტანდარტით გათვალისწინებული მასალა. არსებული გამოცდილება არის იმის წინაპირობა, რომ საჭიროების შემთხვევაში სკოლა თავს გაართმევს დისტანციური სწავლების სხვა გამოწვევებსაც.

სკოლა „ალბიონის“ წარმატებული მუშაობის მნიშვნელოვანი ბერკეტია სწორი საკადრო პოლიტიკა. პედაგოგიური კოლექტივი ძირითადად დაკომპლექტებულია ახალგაზრდა კადრებით, რომლებიც ღვაწლმოსილ პედაგოგებთან ერთად ნაყოფიერად მუშაობენ და წარმატებებს აღწევენ მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში. პედაგოგიურ კოლექტივში დღეისათვის 50 მასწავლებლიდან 44 უფროსი და 3 წამყვანი მასწავლებელია (გარდა ამისა, 3 თანამშრომელი ასწავლის სასკოლო სტანდარტით გათვალისწინებულ საგანს და, შესაბამისად, არ გააჩნიათ სტატუსი).

სკოლის ძირითადი მეთოდოლოგიური გზამკვლევაა მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, რომლის მიხედვითაც:

- ყველა მოსწავლე არის განსხვავებული თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების პროცესში.
- სწავლა მიმდინარეობს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლაზე და განვითარებაზე.
- სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდოლოგიის წყალობით მოსწავლე უფრო თავისუფალია აზროვნებაში და მეტ დამოუკიდებლობას ამჟღავნებს ქცევაში.
- სწავლების პროცესისადმი ეს ახალი მიდგომა ეყრდნობა მნიშვნელოვან საგანმანათლებლო მიმდინარეობას – კონსტრუქტივიზმს. რომლის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეებს ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ვასწავლოთ ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება – შენება, განვუვითაროთ ცოდნის ტრანსფერის უნარი.
- სკოლაში მოსწავლე ეუფლება თანამშრომლობითი ურთიერთობებს, აზრის თავისუფლად გამოთქმისა და განსხვავებული აზრისადმი პატივისცემის ჩვევებს.

პედაგოგიური კოლექტივის მუშაობის შედეგებს მნიშვნელოვნად განაპირობებს სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მაჩვენებელი. ყოველწლიურად სკოლის ყველა კურსდამთავრებული წარმატებით ირიცხება ქვეყნისა და მსოფლიოს უმაღლეს სასწავლებლებში 100%, 70% და 50% სახელმწიფო გრანტებით. 2023-2024 სასწავლო წლის 33 კურსდამთავრებულიდან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხა ყველა, მათ შორის 100%-იანი საგრანტო დაფინანსებით - 6, 70% - 4, 50%-ანი -7. სულ სახელმწიფო დაფინანსება/თანადაფინანსება მოიპოვა 17-მა კურსდამთავრებულმა.

გარდა სწავლა-სწავლების ხარისხზე მუდმივი ზრუნვისა, წარმატებების თამასა გარკვეულწილად გადის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების, სააბიტურო მომზადების უზრუნველყოფაში, მათი არჩევანის გათვალისწინებით, რაც განსაზღვრულია სკოლის სასწავლო გეგმით.

2011, 2016 და 2022 წლებში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საექსპერტო დასკვნით სკოლამ წარმატებით გაიარა ავტორიზაცია.

მიმდინარეობს მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის ახალ სტანდარტზე გადასაწყობად.

2011 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ბრენდირების გავლის შედეგად მიენიჭა 9 ვარსკვლავი, ხოლო 2012 წელს მიენიჭა „წლის საუკეთესო კერძო სკოლის“ ტიტული.

სკოლა „ალბიონის“ პედაგოგიური კოლექტივი, როგორც ერთი დიდი ოჯახი მუდმივად სიახლეების ძიებაშია, რათა წარმატებით განახორციელოს უმნიშვნელოვანესი მისია - „ალბიონი“ სიკეთისა და ცოდნის ტაძარი.

2. სკოლა „ალბიონის“ ფილოსოფია (დანართი 2.1)

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონის“ ხედვა:

იყოს მუდმივად განვითარებადი და ღირებულებებზე დაფუძნებული უსაფრთხო სკოლა, რომლისთვისაც პრიორიტეტულია პიროვნული განვითარება, სწავლის მაღალი ხარისხი, აქტიური მოქალაქეობრივი მრწამსი და საზოგადოების მაღალი ნდობა.

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონის“ მისია:

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“-ს მისიაა მოსწავლის დამოუკიდებელ და პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებად აღზრდა, ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლე შეძლებს არა მარტო აკადემიური ცოდნის შეძენას, არამედ იმგვარი გამჭოლი უნარების დაუფლებას, რომელიც მათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში, პიროვნული და პროფესიული წარმატებების მიღწევაში, აქტიურ და კეთილსინდისიერ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში დაეხმარება.

სკოლა „ალბიონის“ ძირითადი ღირებულებებია:

- ❖ სამართლიანობა და ობიექტურობა;
- ❖ პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება
- ❖ აზრის თავისუფლება

- ❖ თანამშრომლობა და გუნდურობა
- ❖ უწყვეტი განვითარება.
- ❖ გამჭვირვალობა
- ❖ უსაფრთხოება

სამართლიანობა და ობიექტურობა - სამართლიანობა და ობიექტურობა ჩვენთვის ნიშნავს სინამდვილის შეულამაზებლად, დაუმახინჯებლად გადმოცემას, მიუკერძოებლობას, მოიცავს პატიოსნებას და სიმართლეს.

პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება - ვლინდება ადამიანის მიერ საკუთარი ქცევის კონტოლის განხორციელებაში. პასუხისმგებლობა გულისხმობს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, როცა საქმიანობას ვასრულებთ ანგარიშვალდებულად, კომპეტენტურად, პატიოსნად და სრულად.

აზრის თავისუფლება - ვაღიარებთ, რომ ადამიანს უფლება აქვს ჰქონდეს საკუთარი აზრი ნებისმიერ საკითხზე და შეუფერხებლად მიიღოს მონაწილეობა საკითხების განხილვაში, თავისუფლად გამოთქვას აზრი, იმსჯელოს არგუმენტების გამოყენებით.

თანამშრომლობა და გუნდურობა - სკოლა ორიენტირებულია დაინტერესებულ მხარეებთან და სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობაზე. გუნდურობაში ვგულისხმობთ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც იზიარებენ იდეებსა და უნარებს საერთო მიზნის მისაღწევად. მიგვაჩნია, რომ თანამშრომლობით მუშაობა, ხელს უწყობს პროდუქტიულობის გაუმჯობესებას და გვაძლევს თანამშრომლებს ორგანიზაციაში მიზანდასახულობის განცდას. სკოლა ღიაა მიიღოს სასკოლო საზოგადოების იდეები და მოსაზრებები, მისცეს სკოლის ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობა და ითანამშრომლოს მათთან.

უწყვეტი განვითარება - მიგვაჩნია, რომ მასწავლებელი მუდმივად უნდა ახდენდეს საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას, რათა განსაზღვროს ის სფეროები, რომლებშიც უფრო მეტი მუშაობა სჭირდება. სწორედ ამგვარად შევძლებთ, უკეთ გავაცნობიეროთ საკუთარი პრაქტიკა და/ან მისი ეფექტიანობა მოსწავლეებზე. ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ მხოლოდ საკუთარი სწავლების პრაქტიკაში მუდმივი ჩაღრმავება ქმნის განვითარების წინა პირობას.

გამჭვირვალობა - ჩვენი ხედვები და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია წინასწარ ცნობილია ყველა მხარისათვის. გვსურს ყველასთვის ადვილად დასაწახავი სიცხადე შევიტანოთ ჩვენს საქმიანობაში, რისთვისაც საქმიანობის შესახებ ინფორმაციას განვათავსებთ როგორც სოციალურ ქსელში (ელექტრონული), ისე ბეჭდური სახით.

უსაფრთხოება - მიგვაჩნია, რომ სასკოლო უსაფრთხოება მნიშვნელოვნად განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ აკადემიურ მიღწევებს, მათ ემოციურ და ფიზიკურ მდგომარეობას. ამიტომ სკოლა მუდმივად ზრუნავს შექმნას მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო ფიზიკური და სოციალური გარემო.

სკოლის მთავარი მიზანია მოსწავლეების ინდივიდუალურად ძლიერი მხარეებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა. ისეთი უნარების განვითარება, როგორცაა სოციალური კომპეტენცია, გუნდური მუშაობისა და ინიციატივის გამოხატვის უნარი, განსხვავებული აზრის მოსმენისა და პატივისცემის უნარი, თავისუფალი, კრიტიკული აზროვნებისა და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების უნარი.

სკოლა აღიარებს მოსწავლის უნიკალურობას თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული იქნება სწავლა-სწავლების დროს;

სკოლაში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა და თანამშრომლობითი ურთიერთობების პრიორიტეტულობა მოსწავლეებს დაეხმარება თავიანთი ცოდნა და უნარები დაუკავშირონ თანამედროვეობას და დაინახონ საკუთარი თავი მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებში. აღნიშნული მიზნების მიღწევას სკოლაში არსებული პოზიტიური და თავისუფალი სასწავლო გარემო, პროფესიონალთა გუნდის მიერ წარმართული ხარისხიანი სწავლა-სწავლების პროცესი და სკოლაში არსებული თანამშრომლობითი ურთიერთდამოკიდებულებები შეუწყობს ხელს.

სკოლის სასწავლო გეგმა ითვალისწინებს და ორიენტაციას აკეთებს ეროვნული სასწავლო გეგმით გამოკვეთილ ექვს ფუნქციურ უნარსა და მასთან დაკავშირებულ სააზროვნო ოპერაციებზე, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე მუშაობა. ეს უნარებია:

1. კრიტიკული აზროვნება
2. შემოქმედებითობა
3. კომუნიკაცია
4. თანამშრომლობა
5. მოქალაქეობა
6. ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა (ფუნქციურ-კომპონენტური უნარი).

4. სასწავლო პროცესის ორგანიზება

4.1. სასწავლო წლის კალენდარი (დანართი 4.1)

4.2. შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონში“ სწავლება მიმდინარეობს სრული ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე; დაწყებითი (I-VI კლ.), საბაზო (VII-IX კლ.) და საშუალო (X-XII კლ.).

- დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა.
- სრული ზოგადი განათლების მიღება გულისხმობს ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევების დონის დაძლევას და შესაბამისი დოკუმენტით სახელმწიფოს მიერ ამის დადასტურებას.
- სწავლა - სწავლების ენა ქართულია.

1. სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. მას სემესტრებად ყოფს ზამთრის არდადეგები:

I სემესტრი - 15.09.23 – 29.12 .23 ჩათვლით

II სემესტრი - 17.01.24 – 21.06.24 ჩათვლით

2. სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების თარიღები და არდადეგების დრო და ხანგრძლივობა განისაზღვრება სკოლის შინაგანაწესით.

3. ეროვნული სასწავლო გეგმის რეკომენდაციის შესაბამისად, სკოლაში ერთი აკადემიური წლის მანძილზე II-XI კლასებისთვის სასწავლო კვირების ხანგრძლივობა არ არის 35 კვირაზე ნაკლები, ხოლო I და XII კლასებისთვის – 30 კვირაზე ნაკლები. შესაბამისად,

- 2023-2024 სასწავლო წელი იწყება 2023 წლის 15 სექტემბერს და მთავრდება:
- I კლასებში - 2024 წლის 31 მაისს;
- XII კლასებში 2024 წლის 24 მაისს;
- II - XI კლასებში - 2024 წლის 21 ივნისს.

3.2. საშემოდგომო არდადეგები - 30.10.23 – 03.11.23 წ. ჩათვლით;

საშობაო არდადეგები - 30. 12. 23-დან 16. 01. 24 ჩათვლით;
სააღდგომო არდადეგები - 02 . 05. 24-დან 07. 05. 24 ჩათვლით;

4. სასწავლო კვირა ხუთდღიანია. საჭიროების შემთხვევაში (მაგ; ინფექციური დაავადებით გამოწვეული კარანტინი ...), სკოლა უფლებამოსილია გამოიყენოს უქმე დღეები ან კვირაში ექვსდღიანი სწავლება.
5. სასწავლო პროცესი იწყება 09. 30 საათზე.
6. რიგ შემთხვევაში, მაგ; სპორტი, დასაშვებია „0“-ოვანი გაკვეთილის ჩატარება, დასაწყისი - 8.40 სთ.
7. გაკვეთილის ხანგრძლივობა III - XII კლასებში განისაზღვრება 45 წუთით. გამონაკლისს წარმოადგენს პირველი კლასი, სადაც გაკვეთილის ხანგრძლივობა 35 წუთია, ხოლო II კლასში – 40 წუთი. გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გამონაკლისი ექსტრემალური პირობების დროს (მაგ; განსაკუთრებული სიცხეები და ა.შ), როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა სასწავლო პროცესის დროის შემცირების მიზნით.
8. I -II -III და IV - V გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა შეადგენს 10, ხოლო III-IV გაკვეთილებს შორის 15 წუთს. დანარჩენი შესვენებების ხანგრძლივობა განისაზღვრება 5 წუთით. ხოლო I – II კლასებისათვის გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა საშუალოდ 15-20 წუთს შეადგენს.
9. სკოლა უქმე დღეებად აცხადებს საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით დადგენილ უქმე დღეებს. მიმდინარე სასწავლო წლისათვის ეს დღეებია:
 - 23 ნოემბერი - გიორგობა
 - 19 იანვარი - ნათლისღება
 - 8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე
 - 9 აპრილი - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე
 - 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე

4.3. სასწავლო დღის განრიგი

საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების მიზნით შემუშავებულია სასწავლო სამუშაო დღის განრიგი.

1. სკოლაში გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა და შესვენებებს შორის დიდი დასვენება, განსაზღვრულია თანდართულ სასწავლო განრიგში (დანართი N 4.2.).

	I კლასი	შესვენება	II კლასი	შესვენება	III-XII კლასები	შესვენება
1	9 ³⁰ - 10 ⁰⁵	20 წთ.	9 ³⁰ -10 ¹⁰	15 წთ.	9 ³⁰ -10 ¹⁵	10 წთ.
2	10 ²⁵ -10 ⁰⁰	20 წთ.	10 ²⁵ -11 ⁰⁵	15 წთ.	10 ²⁵ -10 ¹⁰	10 წთ.
3	11 ²⁰ -11 ⁵⁵	20 წთ.	11 ²⁰ -12 ⁰⁰	15 წთ.	11 ²⁰ -12 ⁰⁵	15 წთ.
4	12 ²⁰ -12 ⁵⁵	20 წთ.	12 ²⁰ -13 ⁰⁰	15 წთ.	12 ²⁰ -13 ⁰⁵	10 წთ.
5	13 ¹⁵ -13 ⁵⁰	15 წთ.	13 ¹⁵ -13 ⁵⁵	10 წთ.	13 ¹⁵ -14 ⁰⁰	5 წთ.
6	14 ⁰⁵ -14 ⁴⁰	15 წთ.	14 ⁰⁵ -14 ⁴⁵	10 წთ.	14 ⁰⁵ -14 ⁵⁰	5 წთ.
7					14 ⁵⁵ -15 ⁴⁰	5 წთ.
8					15 ⁴⁵ -16 ³⁰	

შენიშვნა: „0“-ოვანი გაკვეთილის შემთხვევაში 8.40 სთ. – 9.25 სთ.

საჭიროების შემთხვევაში, გამოცდილებიდან გამომდინარე, სკოლა მზადაა განახორციელოს ონლაინ-სწავლება.

დისტანციური სასწავლო რეჟიმი

- ესგ (IV თავის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტი) მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, სარეკომენდაციო დატვირთვის (გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათების) მაქსიმალური რაოდენობა არის შემდეგი:

კლასი	I	II -III	IV-V	VI- VIII	IX	X-XII
მაქსიმალური დასაშვები საათები (ასტრონომიული) დღეში	3	4	4	5	5-6	5-6

2. შესაბამისად, სკოლა „ალბიონი“ ონლაინ სწავლების პრაქტიკიდან გამომდინარე აწესებს დისტანციური გაკვეთილების ხანგრძლივობას:

I კლასში - 30 წთ;

II- V კლასში - 40 წთ;

VI- XII კლასში - 40 წთ;

დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შემთხვევაში, სკოლის სასწავლო პროცესი დარეგულირდება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 09 სექტემბრის 95/ნ ბრძანების შესაბამისად.

5. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმით და, შესაბამისად, სკოლის მიერ განსაზღვრული მიზნების მიღწევის ხელშესაწყობად სკოლა „ალბიონი“ სთავაზობს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებითი საგანმანათლებლო და ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას.

კერძოდ, სკოლა „ალბიონი“ ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას რიგ საგნებში, გაზრდილი საათობრივი ბადის ხარჯზე, სავალდებულო სახით. დამატებითი საათობრივი დატვირთვა მიმართულია მოსწავლეების მიერ ნასწავლი მასალის განმტკიცებასა და თვითსწავლის უნარების განვითარებაზე, საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირებაზე და წიგნიერების განვითარებაზე. ამისათვის III – IV კლასებში ქართული ენისათვის გამოყოფილი საათებიდან ყოველკვირეული 1 საათი ეთმობა წიგნიერების სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ გააზრებული კითხვისა და წერის საკითხებს.

საგანთა გაღმავებულ სწავლებაში იგულისხმება სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდება, ახალი საკითხებისა და ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რათა მოსწავლემ ადვილად შეძლოს თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა.

შესაბამისად, მშობლიურ (ქართულ) ენასა და ლიტერატურაში საათობრივი დატვირთვა გაზრდილია X-XI კლასებში 1 საათით (6 სთ. ნაცვლად 5 საათისა), ხოლო XII კლასებში 3 საათით (8 კვ. სთ. ნაცვლად 5 საათისა).

სკოლა უფასო საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში, მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის ხარისხის გასაუმჯობესებლად და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მაღალი შედეგების მისაღწევად, დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთათვის ახორციელებს სააბიტურო მომსახურებასაც. აბიტურის საგნების ჩამონათვალი განისაზღვრება მე-12 კლასელთა მიერ ეროვნული გამოცდებისათვის არჩეული საგნების და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ამ ჩამონათვალში მოსწავლე-აბიტურიენტთა საერთო მოთხოვნა მიმართულია მშობლიური (ქართული) ენისა და ლიტერატურის და უცხოური ენების შესწავლაზე. ხშირად ხდება ისტორიის არჩევა, რის გამოც XII კლასში მას დათმობილი აქვს 4 საათი, ნაცვლად 2 საათისა. სხვა სააბიტურო საგნების ჩამონათვალი შეიძლება შეიცვალოს სექტემბრის თვეში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა მიერ საგამოცდო საგნების არჩევანში ცვლილებების გათვალისწინებით.

მშობელთა საზოგადოების დაკვეთის გათვალისწინებით სკოლა ზრდის **უცხოურ ენაში** კვირეულ დატვირთვას და ენების სწავლებას სთავაზობს განსხვავებული სქემით:

პირველი უცხოური ენა - ინგლისური, ისწავლება I კლასიდან და ესგ-ს საათობრივი ბადით გათვალისწინებული საათების რაოდენობა ყველა კლასში არის გაზრდილი და შეადგენს I - II კლასებში (3 სთ.), III -IV კლასებში (4 სთ), V - X კლასებში (5 სთ.), XI - XII კლასებში (6 სთ.).

მეორე უცხოური ენის სტატუსი, (მშობელთა და მოსწავლეთა დაკვეთის გათვალისწინებით), მინიჭებული აქვს **რუსულ ენას** და მისი სწავლება იწყება მეორე კლასიდან და გრძელდება XII კლასის ჩათვლით (საათობრივი დატვირთვა II-III და XII კლასებში თითო საათი), ხოლო დანარჩენ კლასებში ორ-ორი საათი.

მათემატიკას, I კლასის I სემესტრში ნაცვლად 4 საათისა დათმობილი აქვს 5 საათი.

ისტორიის სწავლებას VIII კლასში, ნაცვლად 2/3 საათისა დათმობილი აქვს 3/3 საათი;

კომპიუტერული მეცნიერებების (ისტ) სწავლებას ვიწყებთ I კლასის I სემესტრიდან.

ჭადრაკი. ესგ მოთხოვნათა შესაბამისად I - II კლასებში თითო საათი დათმობილი აქვს ჭადრაკის სწავლებას. ვინაიდან ტრადიციულად საერო სკოლა „ალბიონის“ I – IV კლასებში სტანდარტსზევით სწავლების ფარგლებში ისწავლებოდა ჭადრაკი, მიმდინარე წელს ამ სტატუსით მისი სწავლება გაგრძელდება III - IV კლასებშიც.

ამ საგნის სწავლების მიზანი, სასწავლო პროგრამა და შეფასების ფორმა და კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას (კონკრეტული საგნის სასწავლო მიზნებს და ხელს უწყობს ესგ განსაზღვრული შედეგების მიღწევას). 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კათედრების მიერ მომზადდება საგნობრივი სტანდარტის სხვადასხვა აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები

გამოყენებული რესურსები:

- დ. გურგენიძე, დ. მაჭარაშვილი - ჭადრაკი - I- II დონე;
- დ. გურგენიძე - ჭადრაკი - II დონე;
- ელექტრონული რესურსი: ჭადრაკის სკოლა chess.emis.ge;
- ელექტრონული რესურსი: lichess.org;
- დამხმარე სახელმძღვანელო (არაგრიფირებული) – „ჭადრაკი დამწყებთათვის“;

მოსწავლეთა შეფასება მოხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

სააბიტურო საათებზე მასწავლებელი აწარმოებს მოსწავლეთა შეფასებას და დასწრების აღრიცხვას, რაც არ შედის გაკვეთილზე დასწრებისა და შესაბამის საგანში მოსწავლის შეფასების საერთო მაჩვენებელში.

5. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა

ა) უფასო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“ მოსწავლეთა მშობლების დაკვეთის გათვალისწინებით მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ სხვადასხვა საგანმანათლებლო მომსახურებას, რომლის მიზანია თითოეული ინდივიდის ინტელექტისა და მისწრაფებათა გამოვლენა, მოსწავლეთათვის თანამედროვე ღირებულებათა სფეროს გაფართოება, სწავლების მიზნობრივი მიმართულებების ორიენტირის კოორდინირება, თავისუფალი დროის სწორი მართვის უნარის ჩამოყალიბება, ლოგიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება, კრიტიკული აზროვნების და გუნდური მუშაობის უნარის განვითარება.

აგრეთვე, ზემოაღნიშნული მომსახურების მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებში თვითშემოქმედებისა და ესთეტიკური აღქმისათვის სასარგებლო პრაქტიკული უნარ-

ჩვევების ჩამოყალიბებას, თავისუფალი დროისადმი რაციონალური და შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. თანადგომის, ურთიერთპატივისცემის, პრობლემის ერთობლივი გადაწყვეტის, ცოდნის ტრანსფერის, გუნდური მუშაობის უნარების ჩამოყალიბებას.

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი უფასო საგანმანათლებლო მომსახურება ხორციელდება ქვემოთ აღნიშნული მიმართულებებით.

1. სახალისო მათემატიკა (V-VI კლასები)
2. მეტყველების კულტურა (I – IV კლასები)
3. ქცევის კულტურა (I – IV კლასები)
4. რითმიკა (I - II კლასები)
5. ჭადრაკი - (II –IV კლასები)

აღნიშნულ საგნებს აქვთ სავალდებულო საგნის სტატუსი და დასწრება სავალდებულოა კლასის ყველა მოსწავლისათვის;

დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

1. სახალისო მათემატიკა

სასკოლო სასწავლო გეგმით ისწავლება V – VI კლასებში (კვირაში 1 საათი).

მათემატიკის როლი ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაში უაღრესად დიდია. ის აზროვნების, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების განვითარების მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს. პრაქტიკა მოწმობს, რომ სასკოლო მათემატიკა საგნებს შორის ყველაზე მეტად მოითხოვს თანმიმდევრულობასა და სისტემატურობას. სწორედ ეს თვისებები უწყობს ხელს მოსწავლის აზროვნების განვითარებას, რაც, თავის მხრივ, მას დიდად დაეხმარება სხვა საგნების სწავლაში. გარდა ამისა, მათემატიკური სავარჯიშოები და თავსატეხები ხელს უწყობს მეხსიერების განვითარებას.

მიზანი: სახალისო მათემატიკის სწავლების მიზანია მოსწავლეების ლოგიკური, კრიტიკული აზროვნების, დედუქციური და ინდუქციური მსჯელობის, შეხედულებათა დასაბუთების, მოვლენებისა და ფაქტების ანალიზის უნარის განვითარება; მათემატიკის, როგორც სამყაროს აღწერისა და მეცნიერების უნივერსალური ენის ათვისება; მათემატიკის, როგორც ზოგადსაკაცობრიო კულტურის შემადგენელი ნაწილის გაცნობიერება, სწავლის შემდგომი ეტაპისათვის მომზადება; ცხოვრებისეული ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო ცოდნის გადაცემა და ცოდნის გამოყენების უნარის განვითარება.

საგანი ამ კლასებისათვის სავალდებულოა.

შეფასება სახალისო მათემატიკაში ხდება განმავითარებელი შეფასებით. შეიძლება შეფასდეს შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები:

- ციფრებით მანიპულირებისა და მათი ცხადად აღქმის უნარი;
- მარტივი გამოთვლებისა და შედარებების გაკეთების უნარი
- მათემატიკური წიგნიერება
- სემიოტიკური უნარები
- ინფორმაციის ტრანსფერის უნარი
- სტატისტიკური უნარები
- ფიქრისა და ანალიზის უნარი
- მსჯელობისა და დამტკიცების უნარი
- სივრცითი აზროვნების უნარი
- ფანტაზიისა და წარმოსახვის უნარი

მოსწავლეთა ცოდნა, უნარ-ჩვევები შეიძლება შეფასდეს შემდეგი დავალებებით:

- ინტელექტუალური შეჯიბრებები
- პროექტები
- მათემატიკური ვიქტორინები
- სხვადასხვა ტიპის დავალებები

შეფასება: განმავითარებელი კომენტარი.

რესურსი: პ. გოგოლაძე, ლ. ბარათაშვილი, მ. ბერიაშვილი - მათემატიკის ამოცანათა კრებული.

2. მეტყველების კულტურა

სასკოლო სასწავლო გეგმით ისწავლება I – IV კლასებში (I-III კლასებში -კვირაში

1 საათი, IV კლ. - 2 საათი).

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლამ უნდა განუვითაროს მოზარდს ძირითადი საკომუნიკაციო უნარები (მოსმენა, საერთო ენობრივი ქსოვილის მოწესრიგება, კითხვა, წერა) და გამოუმუშაოს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა; თანამედროვე ეპოქაში ორატორული ხელოვნების დაუფლება წარმატებული კარიერის ერთ-ერთი ძირითადი მსაზღვრელია.

საგნის სწავლების მიზანია მოსწავლეებში:

- სამეტყველო აპარატის მობილიზება გამართული მეტყველების ჩამოყალიბებისათვის

- სწორი სუნთქვის დაუფლება
- წინადადების წარმოთქმისას ტემპისა და რითმის/რიტმის ჩამოყალიბება
- ხმოვანი და თანხმოვანი ბგერების კორექცია
- შინაარსობრივ - ინტონაციური გამოთქმის განვითარება
- აზრობრივი და ემოციური ინფორმაციის გადმოცემის უნარი, რომელიც შემოქმედებას მოახდენს აუდიტორიაზე
- ტექსტის აგების საშუალებებისა და აუდიტორიასთან მუშაობის უნარ-ჩვევის დაუფლება (საპრეზენტაციო უნარები).

მოსწავლეთა ცოდნა, უნარ-ჩვევები შეიძლება შეფასდეს შემდეგი დავალებებით:

- ინტელექტუალური შეჯიბრებები (დეკლამაციაში, ლექსის მხატვრულ კითხვაში...)
- მინი - სპექტაკლები
- შემოქმედებითი ღონისძიებები
- პრეზენტაციები
- სხვადასხვა ტიპის დავალებები

შეფასება: განმავითარებელი კომენტარი

საგნის სწავლების რესურსები:

1. „მეტყველების კულტურის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები“ - მ. ბერიკაშვილი;
2. „ქართული მეტყველების კულტურა“ - ა. არაბული;
3. მოსწავლის კონსპექტი;

3. ქვევის კულტურა (I – IV კლასები)

თანამედროვე ეპოქაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პიროვნების სრულყოფილი რეალიზაცია, რაც წარმოდგენელია მისი ჰარმონიული განვითარების გარეშე. ამ პროცესში მნიშვნელოვანია სათანადო ქვევითი ნორმების უნარ-ჩვევებად ჩამოყალიბება. ქვევის კულტურა ხელს უწყობს პიროვნების სოციალურ ადაპტირებას. შესაბამისად, მასში დადებითი „მე“ კონცეფციის ჩამოყალიბებას და რეალიზაციას.

ქვევის კულტურა სასკოლო სასწავლო გეგმით ისწავლება I – IV კლასებში (კვირაში 1 საათი).

მიზანი: სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლის დროული ადაპტირების ხელსეწყობა, ქვევის ნორმების გაცნობიერება; საკომუნიკაციო და თანამშრომლობითი უნარ-ჩვევების განვითარება; ზნეობრივი ფორმების (მეგობრობა, სიკეთე, ურთიერთპატივისცემა, დახმარება) და უარყოფითი ქვევების გაცნობიერება. აქტიური მოსმენის უნარის

განვითარება, სწავლის მოტივაციის ამაღლება, კონფლიქტებისა და ემოციების მართვის უნარის განვითარება, სწორი თვითშეფასების ჩამოყალიბება.

შეფასების მეთოდი:

- მიმდინარე და სემესტრული - განმავითარებელი შეფასება
- წლის ბოლოს განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასება: „რა ცოდნა გააჩნია, რა ქცევებითა და უნარებით ხასიათდება კონკრეტული, (7,8,9,10 წლის), ასაკის მოსწავლე“;

საგნის შესწავლის რესურსებია:

- ყოფაქცევის კულტურა - ლ. ბედინაძე
- პრაქტიკული ფსიქოლოგია - მ. ნარგიზიშვილი
- სავარჯიშოების კრებული - შ. ამონაშვილი, ნ. ამონაშვილი
- სამოქალაქო აღზრდა - გ. ახვლედიანი, ნ. დალაქიშვილი

4.რითმიკა.

რითმიკა, სასკოლო სასწავლო გეგმით ისწავლება I – II კლასებში (კვირაში 1 საათი). ადრეული განათლების თანამედროვე მიდგომების მიხედვით სასკოლო ასაკის მოსწავლეებში საწყის ეტაპზე სხვადასხვა ტიპის თამაშის, ხელოვნების და შემეცნებითი აქტივობების დაბალანსებული კომბინაცია ხელს უწყობს ბავშვის მთლიანობით - ფიზიკურ, სოციალურ, ემოციურ და ინტელექტუალურ - განვითარებას. უკვე შექმნილი სამოძრაო უნარ-ჩვევების ბაზაზე, შეჯიბრებების დროს შექმნილი სიტუაციების შესაბამისად, მოსწავლეები ახერხებენ ახალი მოძრაობების შესრულებას, რის შედეგადაც ეუფლებიან მრავალნაირ და აუცილებელ მოძრაობით უნარ-ჩვევას. ამ დროს მოსწავლე აქტიური ვარჯიშებით აუმჯობესებს ადრე ათვისებულ ძირითად მოტორულ უნარ-ჩვევებს;

საგნის სწავლების მიზანი:

- აზიაროს მოსწავლე რითმიკის ხელოვნებას
- ხელი შეუწყოს ტანადობის ჩამოყალიბებას
- დახვეწოს მოსწავლის საშემსრულებლო ტექნიკა
- ამაღლოს მოსწავლის კულტურული და ესთეტიკური დონე
- განვითაროს საცეკვაო შემოქმედებითი უნარი
- გამოუმუშაოს პლასტიკური გამომსახველობის, კოორდინაციის, მოძრაობის კულტურა

მოსწავლის შეფასებისათვის კლასების მიხედვით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება (წლიური).

პირველი კლასი:

1. პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

- მოსწავლეს შეუძლია რითმული სავარჯიშოების მოძრაობების გამოყენება
- მოსწავლეს შეუძლია პლასტიკის განმავითარებელი სავარჯიშოების გამოყენება
- მოსწავლეს შეუძლია ილეთების, ილეთთა ნაკრებების გამოყენება

2. კომუნიკაცია-ინტერპრეტაცია

- მოსწავლეს შეუძლია პლასტიკური გამომსახველობის, კოორდინაციის გამოყენება
- მოსწავლეს შეუძლია კორექტული ქცევის გამოყენება
- მოსწავლეს შეუძლია გამართულად კორპუსის დაჭერა (სიარული, დგომა, ჯდომა)

მეორე კლასი:

1. პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

- მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის და სისწრაფის რითმული მოძრაობების გამოყენება
- მოსწავლეს შეუძლია რითმული როლური თამაშების გამოყენება
- მოსწავლეს შეუძლია მუსიკის ხასიათის გადმოცემა რითმული მოძრაობების საშუალებით

2. კომუნიკაცია-ინტერპრეტაცია

- მოსწავლეს შეუძლია გადაადგილებისას (მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან) ერთმანეთს შეუთავსოს რითმული ცეკვის ელემენტები
- მოსწავლეს შეუძლია სინქრონულად მოძრაობა პარტნიორთან, ჯგუფთან
- მოსწავლე არ იძაბება მოძრაობის შესრულებისას

მასწავლებელი გაკვეთილზე აქტიურად იყენებს მუსიკალურ თანხლებას და ცეკვის ილეთებს ვარჯიშის დროს. აქტიური თამაშის წინ მოსწავლეები ასრულებენ მოთელვით ვარჯიშებს;

რესურსი: რ. ჭანიშვილი - ფიქრები ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაზე;

5. ჭადრაკი (III - IV კლასები)

ჭადრაკის გაკვეთილები, როგორც ესგ-თი განსაზღვრული მათემატიკის ერთ-ერთი მიმართულება გათვალისწინებულია ცხრილში, სავალდებულოა და უტარდება პირველ და მეორე კლასებს. ამ საგნის სწავლა ხელს შეუწყობს მოზარდში ანალიტიკური, ლოგიკური, სისტემური და სიმბოლური აზროვნებისა და კვლევის უნარ-ჩვევის

გამომუშავებას, მოსწავლეს უნდა შესძინოს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მას დაეხმარება ცხოვრებისეული პრაქტიკული პრობლემების გადაჭრაში. ამის გათვალისწინებით, ჭადრაკი, როგორც საგანი, ისწავლება III -IV კლასებშიც, როგორც სტანდარტსწევით საგანმანათლებლო მომსახურება.

მიზანი: მდიდარი ისტორიის მქონე ჭადრაკი საზოგადოების კულტურის დონის ერთ-ერთი მაჩვენებელია. ჭადრაკის სწავლება მოიცავს თამაშის წესების, მისი ცალკეული სტადიებისა და მათი გათამაშების პრინციპების ცოდნას, აგრეთვე ჭადრაკის თეორიის სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების ანალიზს.

ჭადრაკის სწავლება თანამედროვე მსოფლიოში განპირობებულია ორი ძირითადი ფაქტორით: სპორტულითა და შემეცნებითით. პირველი მათგანი განსაზღვრავს სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობას, მეორე კი ახალგაზრდების აღზრდის პროცესში ჭადრაკის გამოყენებას ითვალისწინებს, რამეთუ ჭადრაკი ავითარებს ლოგიკურ აზროვნებას, ანალიზის, რთულ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღების უნარს, სხვისი აზრის პატივისცემას და კიდევ მრავალ სხვა დადებით თვისებას.

მოსწავლეთა შეფასება მოხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, განმავითარებელი კომენტარით.

ჭადრაკში შეიძლება შეფასდეს მოსწავლეთა შემდეგი ცოდნა, უნარ-ჩვევები და ფიზიკური თვისებები:

- ფიზიკური თვისებები (სისწრაფე, გამძლეობა, კოორდინაცია და სხვ.);
- გუნდური მუშაობის უნარი;
- თანამშრომლობა (მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან);
- ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობა;
- უსაფრთხოების წესების დაცვის უნარი;
- დროის დაცვის უნარი;
- ორგანიზებულობა;
- სასწავლო აქტივობებში ჩართულობა;
- კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა;
- საკუთარი აზრის დასაბუთებულად წარმოჩენა.

მოსწავლეთა ცოდნა, უნარ-ჩვევები და ფიზიკური თვისებები ფასდება შემდეგი დავალებებით:

- თამაში;
- პროექტი;
- იმიტირებული სიტუაცია;
- საჭადრაკო პარტიის განხილვა და ანალიზი ;
- მსჯელობა/დისკუსია.

➤ საკლასო და სასკოლო შეჯიბრებებში მონაწილეობა;

ამ სახეობის ფარგლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო უნარების განვითარებაზე ზრუნვა, თანაკლასელებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის, სხვისი ინტერესების გათვალისწინების, მიზნის დასახვის უნარების განვითარება. მოსწავლეებს თანდათან უვითარდებათ წყვილებში ან/და გუნდში თამაშისას ურთიერთთანამშრომლობის უნარები. მოსწავლეს შეუძლია დაიცვას თამაშის წესები, შეასრულოს მასწავლებლის მითითებები, მნიშვნელოვანია მოსწავლეების მონაწილეობა სასკოლო და კლასგარეშე მასობრივ საჭადრაკო ტურნირებში. კოვიდრეგულაციების გათვალისწინებით მიმდინარე სასწავლო წელს მარტი-მაისის პერიოდში დაგეგმილია ტრადიციული შიდასაკლასო საჭადრაკო ტურნირებისა და შემაჯამებელი სასკოლო ტურნირის, „საჭადრაკო ფესტივალის“ ჩატარება.

ჭადრაკის სწავლისას მოსწავლეები სწავლობენ მოგებასა და წაგებაზე სათანადო რეაგირებას, თანაგუნდელთა ინტერესების გათვალისწინებას, როგორც საკუთარი, ასევე მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეების პატივისცემას. ეჩვევიან მიზნის დასახვას, უვითარდებათ შეფასებისა და თვითშეფასების უნარები. მოსწავლეები ეჩვევიან დისციპლინას, სხვისი აზრის გულისყურით მოსმენას, მონაწილეობენ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაში, რაც ხელს უწყობს პატიოსანი თამაშის წესებისა და ტოლერანტობის უნარ-ჩვევების დამკვიდრებას და აგრეთვე, შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

გამოყენებული რესურსები:

- დ. გურგენიძე, დ. მაჭარაშვილი - ჭადრაკი - I- II დონე;
- დ. გურგენიძე - ჭადრაკი - II დონე;
- ელექტრონული რესურსი: ჭადრაკის სკოლა chess.emis.ge;
- ელექტრონული რესურსი: lichess.org;
- დამხმარე სახელმძღვანელო (არაგრიფირებული) – „ჭადრაკი დამწყებთათვის“;

მოსწავლეთა ინტერესებისა და მიმდინარე წელს კოვიდრეგულაციებში შესული ცვლილებების გათვალისწინებით სკოლაში ფუნქციონირებდა და 2023-2024 სასწ. წელსაც გააგრძელებს მუშაობას გეოგრაფიის მოყვარულთა კლუბი „გეოგრაფოსი“, „ნორჩ კალიგრაფთა“ წრე და ფსიქოლოგიის კლუბი. გარდა ამისა, მოსწავლეთა სასწავლო ინტერესების გათვალისწინებით გაგრძელდება „კითხვის ასაკობრივი წრეების“ (3 წრე) მუშაობა. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეებისათვის ფუნქციონირებს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ალბიონი“. აღნიშნული წრეებსა და კლუბებში მოსწავლეთა მონაწილეობა უფასოა. წრის მეცადინეობა მიმდინარეობს კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ 1 სთ. განმავლობაში.

ფასიანი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება:

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონში“ მოსწავლეთა მშობლების სურვილისა და დაკვეთის გათვალისწინებით ფუნქციონირებს ფასიანი დამატებითი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მომსახურება.

1. გახანგრძლივებული დღის ჯგუფი I-IV კლასებისათვის (შემუშავებულია გახანგრძლივებული დღის ჯგუფის დებულება);

2. წიგნის კლუბი “Kings and queens club” (ორგანიზაცია English BOOK education - თანამშრომლობით)

3. ხატვის წრე.

4. კალათბურთის წრე.

წრეს მოსწავლეები სურვილის მიხედვით ირჩევენ/ესწრებიან.

1. გახანგრძლივებული დღის ჯგუფი I-IV კლასები

მოსწავლეთა მშობლების დაკვეთის შესაბამისად გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეები კლასების მიხედვით ნაწილდებიან ე.წ. გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში, რომელსაც ხელმძღვანელობს აღმზრდელი-მასწავლებელი. გახანგრძლივებულ დღის ჯგუფში მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან ერთჯერადი ცხელი კვებით და დღის ბოლოს საცხოვრებელ სახლებში მსურველთა ტრანსპორტირებით. თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაში მოსწავლეებს გეზს აძლევს აღმზრდელი. დღის განმავლობაში მოსწავლეებთან მუშაობს პედაგოგი (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ინგლისური ენა). ჯგუფის ფუნქციონირება რეგულირდება შესაბამისი დებულებით.

პროგრამის განხორციელების ძირითადი მიზანია მოსწავლეებისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა მათი წიგნიერებისა და დამოუკიდებელი აზროვნების განსავითარებლად. სკოლა მათთვის ქმნის ისეთ ფსიქოკლიმატს, რომ მათ შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა, სირთულეების დამოუკიდებლად დაძლევა. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაწყებით საფეხურზე, როდესაც ბავშვებს უყალიბდებათ სოციალური უნარ-ჩვევები.

პროგრამის განხორციელების მიზნები და ამოცანებია:

- სასწავლო პროგრამის საფუძვლიანი, გააზრებული შესწავლა;
- სწავლის ხარისხის ზრდის ხელშეწყობა.
- გააზრებული კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება; ზოგადი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;
- სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარება;
- დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება;
- დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარება.

გახანგრძლივებული დღის ჯგუფში განსახორციელებელი სასწავლო აქტივობები:

- ინტერაქტიური მეთოდოლოგია;
- დისკუსია;
- ჯგუფური დავალებები
- ეფექტური წერისა და კითხვის სტრატეგიები.

სასწავლო მასალის შერჩევისას პედაგოგი თავისუფალია, შესაძლებელია როგორც საპროგრამო, ასევე დამატებითი ლიტერატურის გამოყენება.

გახანგრძლივებული დღის ჯგუფში სავალდებულოა ყოველდღიური აღრიცხვის წარმოება.

2. წიგნის კლუბი

სკოლის უცხოური ენების კათედრა აქტიურად თანამშრომლობს ორგანიზაცია **English BOOK education** - თან. ეს ორგანიზაცია ხელმძღვანელობს სკოლის მოსწავლეთა წიგნის კლუბს **“Kings and queens club.”** თვეში ერთხელ ამ მოსწავლეებთან ტარდება ონლაინ სემინარები, სადაც განიხილავენ წინასწარ შერჩეულ და წაკითხულ წიგნს. მოსწავლეები ინგლისურ ენაზე წარმართავენ განხილვას, გამოთქვამენ თავისუფალ აზრს, ახასიათებენ მოქმედ გმირებს, მსჯელობენ ნაწარმოების სტილზე, ღირებულებებზე, გადმოსცემენ საკუთარ ემოციებს... წელიწადში ერთხელ მოსწავლეები მონაწილეობენ ინტელექტუალურ შეჯიბრში სახელწოდებით **“quiddigh”**. კლუბში მონაწილეობა ფასიანია და თანხა ერიცხება ორგანიზაცია English Book education-ს.

6. სასკოლო საათობრივი ბადე

ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად (თავი V. სასკოლო სასწავლო გეგმა. მუხლი 23. საათობრივი ბადე) და სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“ აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ საათობრივ დატვირთვას, რის საფუძველზეც შემუშავებულია სასკოლო საათობრივი ბადე.

ამასთან, ესგ 56 - ე მუხლის (საათობრივი ბადე ქართულენოვანი და არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის/სექტორებისთვის) შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საათობრივი ბადე, სურვილისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შეადგინოს სამი მოდელის მიხედვით.

სკოლამ ესგ რეკომენდაციების დაცვის, სკოლის მისიისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით შეიმუშავა საათობრივი ბადე მოდელი III – ის შესაბამისად და

სამინისტროში წარადგინა შესაბამისი დასაბუთება, თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტის შედეგების მიღწევას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (N 1129004 12/09/2023) წერილის შესაბამისად სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი, შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონმა“ 2023-2024 სასწ. წლის სასწავლო პროცესი წარმართოს წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივი ბადის მიხედვით (დანართები 6.1. 6.2. 6.3.).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 19 აგვისტოს N 93/ნ ბრძანების შესაბამისად ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებებისა და სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის რეკომენდაციის გათვალისწინებით, მოხდა 2023-2024 სასწავლო წლის საათობრივი ბადის კორექტირება. კერძოდ, ცვლილებები შევიდა საშუალო საფეხურის XI; I და II კლასების სასწავლო გეგმაში. გასული სასწავლო წლიდან დამატებით შემოტანილი საპროექტო სწავლება განხორციელდება სამოქალაქო განათლებაში და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში X, ხოლო მუსიკაში XI კლასებში.

სასკოლო საათობრივი ბადე:

- ა) განსაზღვრავს საგნის/საგნების კვირეული/წლიური ჯამური საათების რაოდენობას;
- ბ) მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო საგანს.
- გ) მოიცავს სასკოლო სტანდარტით გათვალისწინებულ საგნებს;
- დ) მოიცავს როგორც სავალდებულო, ასევე, არჩევითი საგნებს და დამატებით საგანმანათლებლო მომსახურების სახეებს და დატვირთვას (დანართი 6.1.);
- ე) მოიცავს არჩევითი საგნების ჩამონათვალს;
- ვ) მოიცავს სააბიტურო საათების მაქსიმალურ დატვირთვას სკოლის მოსწავლეთა და მშობელთა დაკვეთის შესაბამისად. (დანართი - 6.5.)
- ზ) მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება. (დანართი 6.8.)

თ) მოიცავს საათობრივ ბაღეს კლასებად (დანართი 6.4.)

ი) მოიცავს შემაჯამებელი სამუშაოების რაოდენობას სემესტრების მიხედვით (დანართი 6.6. 6.7.).

სასკოლო სასწავლო გეგმა, გარდა საათობრივი ბაღისა:

- მოიცავს გრიფინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხას კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე გრიფინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალს (ინგლისურ ენაში). ინგლისური ენა ისწავლება გაღრმავებულად, დამატებითი საათებისა და რესურსების გამოყენების ხარჯზე;
- მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);
- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალსა და აღწერილობას;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურების ჩამონათვალს, საჭიროების დასაბუთებასა და აღწერილობას;
- განსაზღვრავს სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობების მიმართულებებს;
- ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის;
- ინკლუზიური განათლების პირობებს, სსსმ მოსწავლისათვის საჭირო ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას (დანართი 11.1.);
- მოსწავლის სკოლაში მობილობის შემთხვევაში სკოლა მზადაა, სავალდებულო წესით, მოსწავლისთვის შედგენილი საგნის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საშუალებით უზრუნველყოს მოსწავლის მიერ იმ სავალდებულო საგნის სტანდარტის შედეგების დაფარვა, რომელიც საგანიც მას ჯერ არ ჰქონდა გავლილი სკოლაში, საიდანაც გადმოვიდა, და თუ მიმდებ სკოლაში ამ საგნის სწავლება უკვე დაწყებულია ან დასრულებული.
- სააბიტურო საათების მაქსიმალურ დატვირთვას (დანართი 6.6.)

- **საჭიროების შემთხვევაში**, მოსწავლის შინ სწავლების აუცილებლობის მიზეზით, სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) კვირაში მინიმუმ 1 გაკვეთილის ჩატარებას.

შენიშვნა: განსაზღვრულ შემთხვევაში (მაგ., ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება, გაკვეთილების დაწყება მიზნებიდან გამომდინარე), სკოლა უფლებამოსილია, სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის გარეშე შეცვალოს სასკოლო საათობრივი ბადით გათვალისწინებული გაკვეთილების განრიგი კონკრეტული დღის/დღეების განმავლობაში. ეს ცვლილება არ გამოიწვევს თითოეული საგნისათვის სასკოლო სასწავლო გეგმით დათმობილი საათების წლიური ჯამური რაოდენობის ცვლილებას.

თანდართულია:

- საათობრივი ბადე დაწყებითი საფეხურისათვის - დანართი N 6-1.
- საათობრივი ბადე საბაზო საფეხურისათვის - დანართი N N 6-1.
- საათობრივი ბადე საშუალო საფეხურისათვის - დანართი N N 6-1.
- საათობრივ ბადეში შეტანილი ცვლილებების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების დოკუმენტი - დანართი 6-2 და შესაბამისი საათობრივი ბადე - დანართი 6-3
- საათობრივი ბადე კლასებად - დანართი N 6-4
- სააბიტურო საათების მაქსიმალური დატვირთვა - დანართი N 6-5 (სექტემბრის ბოლოს, მოსწავლე-აბიტურიენტთა დაკვეთის შესაბამისად);
- შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობა სემესტრების მიხედვით - დანართი N 6-6; N 6-7;
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას - დანართი N 11.1; (სავალდებულოა სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში).
- გაკვეთილების ცხრილი - დანართი 6.8.

7. სასწავლო მასალის ჩამონათვალი საფეხურებისა და საგნების შესაბამისად

სასწავლო პროცესში დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის ან თვალსაჩინოების სასწავლო პროცესში გამოყენება ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. სკოლის პედაგოგიური საბჭო

ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებულ და საგნობრივი კათედრების მიერ შერჩეულ სახელმძღვანელოთა და დამხმარე სახელმძღვანელოების/რესურსების ნუსხას სასკოლო სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი საგნებისათვის (**დანართი N 7-1, 7-2.**), რომლებსაც მასწავლებლები გამოიყენებენ 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში. აგრეთვე საგნობრივი კათედრების მიერ შერჩეულ დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხას (**დანართი N 7.3.**). გარდა ამისა, სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით განახორციელებს პირველი უცხოური ენის (ინგლისური ენა) სწავლებას არაგრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით (**დანართი 7.4 და 7.4.1.**).

სკოლა საგანმანათლებლო რესურსების შერჩევას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და უზრუნველყოფს კათედრების მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სკოლაში არსებული რესურსების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და მშობელთა და მოსწავლეთა კრებებზე. ამასთან, სკოლას შემუშავებული აქვს და სასკოლო საზოგადოებისათვის ცნობილია სკოლაში არსებული სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის წესები.

1. საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

- გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;
- დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები;

დამატებითი საგანმანათლებლო რესურსი:

- საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები (ვიდეო, DVD, კომპაქტური დისკები);
- კომპიუტერული ლაბორატორია, სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი ელექტრონული რესურსი;
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (სხვადასხვა სახის ხელსაწყოები, მულაჟები და მასალები);
- სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.);
- ბიბლიოთეკა, თეატრი, მუზეუმი, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი გარემო და სხვ.
- მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები (სპორტული მოედანი, დარბაზი, სასკოლო ტრანსპორტი....და სხვა.

არსებული წესის შესაბამისად 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში, სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში, საგნის მასწავლებლები შექმნიან სსსმ მოსწავლისათვის

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ყველა საგანში. მიმდინარე წელს სკოლამ კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყო რესურსოთახი. თანდათანობით მოხდება ამ კაბინეტის უზრუნველყოფა სკოლის სპეციალური მასწავლებლის მიერ განსაზღვრული საჭირო სასწავლო მასალით.

ამასთან ერთად, სკოლის აღმზრდელები მუშაობის პროცესში გამოიყენებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ შემუშავებულ და/ან რეკომენდებულ შესაბამის მეთოდურ სახელმძღვანელოებსა და გზამკვლევებს.

გრიფინიჭებული სახელმძღვანელოები:

1. სახელმძღვანელოები არჩეულია მასწავლებლების/საგნობრივი კათედრების მიერ გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალიდან (დანართი 7.1.);
2. თითოეული კლასის ყველა პარალელში ისწავლება ერთი და იმავე სახელმძღვანელოთი.
3. სკოლა არაგრიფირებული სახელმძღვანელოებით სარგებლობს ინგლისური ენის სწავლებისას. საკითხი შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან(დანართი 7.4.) .
4. სკოლა უფლებამოსილია სსსმ მოსწავლის სწავლება განახორციელოს ნებისმიერი კლასის/დონის გრიფირებული ან ადაპტირებული გრიფირებული სახელმძღვანელოთი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ კლასშია ეს მოსწავლე. სსსმ მოსწავლეების სწავლებისას შესაძლებელია გრიფინიჭებულ სახელმძღვანელოსთან ერთად, როგორც ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი, გამოყენებულ იქნეს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებზე მორგებული სხვა საგანმანათლებლო რესურსები.
4. სასწავლო პროცესში გამოიყენება საგნობრივი კათედრების მიერ შერჩეული დამხმარე სახელმძღვანელოები (დანართი 7.3.).
5. სკოლა არჩეული სახელმძღვანელოების სიას განათავსებს სკოლის ვებგვერდზე, სკოლის FACEBOOK - გვერდზე, მოსწავლეთა მშობლებისათვის გასაცნობად გადასცემს კლასების აღმზრდელ-დამრიგებლებს და განათავსებს სკოლის შემოსასვლელებსა და სამასწავლებლოებში სწავლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

დამატებითი საგანმანათლებლო რესურსი (დამხმარე/დამატებითი მასალა):

1. სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის.
2. მასწავლებელს უფლება აქვს, სწავლებისას მხოლოდ დამხმარე/დამატებითი მასალის სახით, გამოიყენოს ნებისმიერი სასწავლო მასალა, საგანმანათლებლო რესურსი და თვალსაჩინოება.

3. დამხმარე/დამატებითი მასალის სასწავლო პროცესში გამოყენება უნდა ემსახურებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ (მათ შორის - ენის, ეროვნების, სქესის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების და სხვა ხასიათის) ელემენტებს.
4. არსებული დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალს სკოლა აზუსტებს ყოველწლიური ინვენტარიზაციის პერიოდში (დანართი 7.5.) და მათი შეფერხებლად გამოყენების მიზნით განათავსებს სამასწავლებლოში (აღწერის ფორმა თან ერთვის).
5. სკოლას შემუშავებული აქვს და სასკოლო საზოგადოებისათვის ცნობილია სკოლაში არსებული სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის წესები (დანართი 7.6. რესურსების მართვა)
6. სასწავლო წლის დასაწყისში საგნობრივი კათედრა მასწავლებელთა მოსაზრებების გათვალისწინებით აკეთებს დაკვეთას და წარუდგენს სკოლის ადმინისტრაციას საჭირო საგანმანათლებლო რესურსის შეძენასთან დაკავშირებით (რესურსის დასახელება, კლასი, საგანი, რაოდენობა).

8. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები

მოსწავლის შეფასება. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასებისთვის სკოლა ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმის რეკომენდაციებით **თავი VII. მოსწავლის შეფასების სისტემა**, მუხლი 27. - მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები, რომლის მიხედვითაც:

1. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

2. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:
 - ✓ აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
 - ✓ ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

- ✓ გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;
 - ✓ მოიცვას სამივე კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ცოდნა;
 - ✓ აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.
3. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა 2021-2022 სასწავლო წლიდან ჩაერთო ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მოდელში, 2022-2023 სასწავლო წელს მუშაობა მიმდინარეობდა სასკოლო კურიკულუმების შედგენა/დახვეწაზე. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში გამოიყენებოდა საგანში მინიმუმ ორი კომპლექსური შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარება და გაანალიზება, დანარჩენი შემაჯამებელი სამუშაოები ტარდებოდა კათედრების მიერ არჩეული ფორმით. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს, პრიორიტეტი მიანიჭოს კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. შესაბამისად, სასწავლო წლის განმავლობაში საგანში (კლასის მიხედვით) იგეგმება მხოლოდ კომპლექსურ - შემაჯამებელი სამუშაოს განხორციელება (კათედრის გადაწყვეტილების შესაბამისად).
4. სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი:
- განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.
 - განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. განმავითარებელ შეფასებაში იწერება კომენტარი (დანართები 8.1. და 8.2.)

5. შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე

ესგ-ს შესაბამისად, I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლები წერენ მოსწავლის მოკლე წერილობით შეფასებას, რომელშიც დახასიათებული უნდა იყოს მოსწავლე, აღნიშნავენ მის წარმატებებს და მიუთითებენ, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

დანართი: 8.3. შეფასების სემესტრული/წლიური ფორმა (I-V კლ. I სემ. კლასები).

- V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება.
- მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.

დანართი: 8.4. შეფასების სემესტრული/წლიური ფორმა (V კლ. II სემ.-XII კლასები)

- V კლასის II სემესტრიდან XII კლასის ჩათვლით სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში და არჩევით საგნებში (საქართველოს ეთნოგრაფია - X კლასი, ფოლკლორი და მითოლოგია - XI კლასი, გარემო და მდგრადი განვითარება - XII კლასი) მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.
- საშუალო საფეხურზე სავალდებულო პროექტებში – სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მუსიკაში, სამოქალაქო განათლებაში - მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით (წერილობითი ფორმით).
- დამატებით სავალდებულო საგნებში (სახალისო მათემატიკა, მეტყველების კულტურა, რითმიკა და ქცევის კულტურა-ში მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით, აღნიშნულ საგნებში განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმის მე-5 თავში - ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციული მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა.
- დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.
- მოსწავლე "აბიტურის საათის" ფარგლებში შეფასდება განმავითარებელი შეფასებით.

9. მოსწავლის შეფასების კომპონენტები

1. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები შეფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით

- ✓ მიმდინარე საშინაო დავალება;
- ✓ მიმდინარე საკლასო დავალება;
- ✓ შემაჯამებელი დავალება.

(ესგ. მუხლი 32. მოსწავლის შეფასების კომპონენტები, მე-3 პუნქტის ა) ვარიანტი I – მიმდინარე საკლასო დავალებაში (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),

მიმდინარე საშინაო დავალებაში (VII-XII კლასები), შემაჯამებელ დავალებაში (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები);

- მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.
- სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში (ესგ. მუხლი 32. მოსწავლის შეფასების კომპონენტები, მე-3 პუნქტი, ა) ქვეპუნქტი - I ვარიანტის შესაბამისად):
 - ა) მიმდინარე საკლასო დავალებაში (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),
 - ბ) მიმდინარე საშინაო დავალებაში (VII-XII კლასები),
 - გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).

ამ კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვს.

- ✓ I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
- ✓ I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
- ✓ V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.
- ✓ შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგი შეიმუშავებს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმებს.

4. ეროვნული სასწავლო გეგმით V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის განსაზღვრულია სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა არ საზღვრავს დამატებითი შემაჯამებელი სამუშაოების ჩატარებას, გარდა ამ თავის მე-7 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა (სასკოლო მონიტორინგი).

5. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, მათ შორის სასკოლო მონიტორინგის სამუშაო (ეროვნული სასწავლო გეგმით

დადგენილი სავალდებულო მინიმუმი - საგანში შემაჯამებელი სამუშაოს რაოდენობა შეესაბამება შესაბამისი სემესტრის განმავლობაში ნასწავლი თემების რაოდენობას).

1. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა მისცემს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალებას. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით;

6. 2023-2024 სასწავლო წლის I სემესტრში სკოლა გეგმავს დამატებითი სასკოლო შემაჯამებელი სამუშაოების ჩატარებას:

- ქართულ ენასა და ლიტერატურაში - VII (I სემესტრში) და X (II სემესტრში) კლასებში, პროგრამული მასალის ათვისების დიაგნოსტიკის მიზნით და XII კლასებში (როგორც I ისე II სემესტრში) სააბიტურო კურსის მასალის ათვისების დონის დასადგენად.
- მათემატიკაში VII და IX კლასებში (II სემესტრში), პროგრამული მასალის ათვისების დიაგნოსტიკის მიზნით. აგრეთვე XII კლასებში (როგორც I ისე II სემესტრში) სააბიტურო კურსის მასალის ათვისების დონის დასადგენად.
- ისტორიაში VIII და IX კლასებში (I სემესტრში), პროგრამული მასალის ათვისების დიაგნოსტიკის მიზნით.
- ინგლისურში VIII, X და XI კლასებში (II სემესტრში) პროგრამული მასალის ათვისების დიაგნოსტიკის მიზნით და XII კლასებში (როგორც I ისე II სემესტრში) სააბიტურო კურსის მასალის ათვისების დონის დასადგენად.
- რუსულ ენაში VII კლასში (I სემესტრში) და IX კლასში (II სემესტრში) პროგრამული მასალის ათვისების დიაგნოსტიკის მიზნით.
- ბიოლოგიაში VIII კლასში (I სემესტრში) და X კლასში (II სემესტრში) პროგრამული მასალის ათვისების დიაგნოსტიკის მიზნით.
- ფიზიკაში VII კლასში (II სემესტრში) პროგრამული მასალის ათვისების დიაგნოსტიკის მიზნით.

7. ამასთან, დაწყებითი საფეხურის დამამთავრებელ კლასებში (IV და VI კლ.) სასწავლო წლის ბოლოს (მაისი) ჩატარდება სასკოლო კვლევა მოსწავლეთა მიერ საფეხურის ან/და კლასის სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის დონის გაზომვის მიზნით:

- IV კლასში - ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში და ინგლისურ ენაში კლასის სტანდარტის, ხოლო
- VI კლასში - ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში და ბუნებისმეტყველებაში დაწყებითი საფეხურის სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის დიაგნოსტიკის მიზნით.

საშუალო საფეხურზე (X, XI, XII კლასებში)

- მოსწავლეთა მოლოდინებისა და ინტერესების კვლევა არჩევითი საგნების სწავლებასთან დაკავშირებით;

8. დამატებითი სასკოლო შემაჯამებელი სამუშაოებისა და სასკოლო კვლევის ფარგლებში მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასებისათვის გამოყენებულ იქნება განმავითარებელი შეფასება. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება პროგრამული მასალის დაძლევის ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად და სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. მოსწავლეთა მიერ კვლევის დროს მიღებული შეფასება არ აისახება მათ სემესტრულ და წლიურ შედეგებზე.

გარდა ამისა, 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი სახის ფოკუსირებული დაკვირვებების განხორციელება:

- დაკვირვება სასწავლო პროცესზე
- დაკვირვება კლასის მართვაზე
- დაკვირვება მოსწავლეთა მიმდინარე შეფასების განხორციელებაზე
- საშინაო დავალების დოზირებასა და უკუკავშირის სისტემაზე;
- განმავითარებელ შეფასებაზე, როგორც მოსწავლის განვითარების ხელშემწყობ მექანიზმზე
- წესები და პროცედურები, დისციპლინის გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებები.

9. 2023-2024 სასწავლო წელს მოსწავლეთა სასწავლო შედეგების დიაგნოსტიკის მიზნით, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია წლიური გამოცდის ჩატარება შემდეგ კლასებში:

- მათემატიკაში - VIII, X, XI კლასებში;
- ქართულ ენასა და ლიტერატურაში - VIII, IX, XI კლასებში;
- ინგლისურ ენაში - VII, IX კლასებში;
- ისტორიაში - X კლასში;
- გეოგრაფიაში - VII კლასში;

11. გამოცდის ქულა აისახება საგნის წლიურ ქულაზე. საგნის წლიური ქულა გამოიყვანება შემდეგი ფორმულით: სამი შეფასების (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკული (დამრგვალებული მთელის სიზუსტით);

დანარჩენ შემთხვევებში:

ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;

ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7.25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე);

12. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოების (სასკოლო შემაჯამებელი, სასკოლო კვლევა და გამოცდა) ვარიანტებსა და საკითხებს შეარჩევს და პროცესების მონიტორინგს განახორციელებს სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მონიტორინგის ჯგუფი. რომელიც შედეგებს მოახსენებს პედაგოგიური საბჭოების პირველი სემესტრისა და წლიური შემაჯამებელი სხდომის წევრებს.

13. გამოცდებამდე ერთი თვით ადრე სკოლის საგნობრივი კათედრა მოსწავლეებისათვის უზრუნველყოფს შესაბამის საგანში კონსულტაციების ჩატარებას.

14. **ესგ. მუხლი 36. (გამოცდის ტიპები)** შესაბამისად, სკოლა წლიურ გამოცდაზე შემაჯამებელი დავალების მსგავს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებს შესთავაზებს მოსწავლეებს. **ესგ-ს შესაბამისად, დაუშვებელია წლიურ გამოცდაზე არჩევითპასუხიანი ტესტების შეთავაზება.**

შენიშვნა: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სასწავლო საგნების სასწავლო შედეგების მონიტორინგის განხორციელების შემთხვევაში, სკოლა მოწოდებულია ჩაერთოს აღნიშნულ პროცესში და უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები სასკოლო მონიტორინგის გეგმაში.

10. სკოლაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები და შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები

- ა) საგნის მიმდინარე საკლასო, მიმდინარე საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- ბ) საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში;
- გ) საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება იმ საგანში/საგნებში, რომელშიც არ ტარდება წლიური გამოცდა. ხოლო იმ საგანში/საგნებში, რომელშიც ჩატარდება წლიური გამოცდა, წლიური ქულა გამოიყვანება შემდეგი ფორმულით: სამი შეფასების (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკული (დამრგვალებული მთელის სიზუსტით);
- გ) გამონაკლისის წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა, რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია.
- დ) სემესტრული გამოცდის ქულა (სკოლის გადაწყვეტილების შემთხვევაში);
- ე) წლიური გამოცდის ქულა;
- ვ) საშემოდგომო გამოცდის ქულა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) საფეხურის ქულა – საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულის საშუალო ქულა.

შენიშვნა: საგნის სემესტრული ქულისა და საფეხურის ქულის გამოანგარიშებისა და კლასისა და საფეხურის დაძლევის წესები ზუსტად შეესაბამება ესგ! მოთხოვნებს.

სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.

1. სემესტრული გამოცდის დანიშნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მომართავს სკოლის დირექტორს: პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ.
2. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლა ქმნის შესაბამისი საგნის/საგნების საგამოცდო კომისიას და უზრუნველყოფს გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარებას.
3. გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.
4. პირველი სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის სემესტრული გამოცდა - სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

საშემოდგომო გამოცდა

1. საშემოდგომო გამოცდა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს რომელიმე საგანში წლიური ქულა აქვს 5-ზე ნაკლები.
2. საშემოდგომო გამოცდის ჩატარების საჭიროების შესახებ სკოლის დირექტორს ერთობლივი მოხსენებითი ბარათით მიმართავს კლასის აღმზრდელი და შესაბამისი საგნის მასწავლებელი (დანართი 8.5.).
3. სკოლის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას და განსაზღვრავს საშემოდგომო გამოცდის/გამოცდების დანიშნის ვადებს.

4. საშემოდგომო გამოცდა უნდა ჩატარდეს სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა და მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
5. სკოლის დირექცია ამზადებს და დირექტორის ბრძანებით ამტკიცებს საშემოდგომო გამოცდებისა და კონსულტაციების განრიგს. აღნიშნულ განრიგს კლასის აღმზრდელი აცნობს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.
6. საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლეს მიეცემა არანაკლებ 2 კვირის ვადა მომზადებისთვის. ამ პერიოდში მას უტარდება ინდივიდუალური ან ჯგუფური კონსულტაციები.
7. მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე.
8. საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა.

ექსტერნატი: ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;

ექსტერნატის გამოცდას, გარდა იმ პირობისა, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს, აბარებენ აგრეთვე ის მოსწავლეები, რომლებზედაც ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი (საგნის სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათების 30% და მეტის გაცდენის შემთხვევა).

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – ატესტატის მისაღებად მოსწავლეს დაძლეული უნდა ჰქონდეს საშუალო საფეხური.

11. შემაჯამებელი დავალების შესრულების, შეფასებისა და აღდგენის წესი

შემაჯამებელი კომპლექსური დავალება – განისაზღვრება თემების მიხედვით და წარმოადგენს შინაარსიან, ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირებულ დავალებას, რომლის შესრულება მოითხოვს ფუნქციურ კონტექსტებში სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას (ესგ!);

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგი შეიმუშავებს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმებს.

1. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
2. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.
3. შეფასების ინდიკატორები – გამომდინარეობს შედეგებიდან და აჩვენებს, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორი არის თემაში რეალიზებული შედეგი, რომელიც სავალდებულო ხასიათს ატარებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის;
4. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა აძლევს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის საშუალებას.
 - ✓ შემაჯამებელი აღდგენითი სამუშაოს ჩატარების ვადაა 5-7 დღე;
 - ✓ საგნის მასწავლებელი მოსწავლესთან ათანხმებს შემაჯამებელი დავალების აღდგენის კონკრეტულ დროს (თარიღს!), წერილობითი ფორმით მიმართავს სკოლის ადმინისტრაციას დამატებითი შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ.
 - ✓ სკოლის დირექტორის პირველი მოადგილე იღებს გადაწყვეტილებას შემაჯამებელი სამუშაოს აღდგენის შესახებ, ეთანხმება საგნის მასწავლებლის მიერ წარდგენილ გრაფიკს, სადაც მითითებულია მოსწავლის ვინაობა, აღსადგენი საგანი და შემაჯამებელი დავალების N და თარიღი. მოსწავლეთა ინფორმირებაზე პასუხისმგებელია საგნის პედაგოგი და დამრიგებელი.
 - ✓ საგნის მასწავლებელი ამზადებს იდენტურ ახალ დავალებას აღდგენითი შემაჯამებელი სამუშაოსათვის.

- ✓ აღდგენითი შემაჯამებელი სამუშაო მოსწავლემ უნდა შეასრულოს გაკვეთილების შემდეგ, დამატებით დროს, სკოლის ადმინისტრაციის მეთვალყურეობით.
- ✓ განსაკუთრებულ შემთხვევებში (ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში) ექიმის ცნობის წარმოდგენის შემდეგ, სკოლა უფლებამოსილია გაზარდოს აღნიშნული ვადა. ასეთ შემთხვევაში მოსწავლისათვის შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება მასთან შეთანხმებულ პერიოდში.
- ✓ კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ში არ იანგარიშება ის გაცდენილი დღე/დღეები, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა (ესგ. მუხლი 38. პ.4).

6.2. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე;

7. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს:

7.1. შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი; (ესგ. მუხლი 20, პუნქტი 2, ქვეპუნქტი ზ).

7.2. მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- ✓ შემაჯამებელი დავალების ნომერი,
- ✓ შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება;
- ✓ კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები;
- ✓ ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.
- ✓ თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები.

რეკომენდებული არ არის ერთსა და იმავე დღეს კონკრეტულ კლასში 2 ან მეტი შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარება. საკითხის დასარეგულირებლად კლასის აღმზრდელი, საგნის მასწავლებლებთან ერთად ადგენს შემაჯამებელი სამუშაოების ყოველთვიურ განრიგს (საგანი, ძირითადი და აღდგენითი შემაჯამებელი სამუშაოს N, და თარიღი). განრიგი გამოკრული უნდა იყოს საკლასო ოთახში და მასზე განთავსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

დანართი:

9.1. კომპლექსური შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმა

**10. მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება (ესგ. მუხლი 37).
წარჩინებული მოსწავლეების წახალისების წესი (დანართი 10.1.)**

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შეფასების მაღალი დონე (ქულები 9-დან 10-ის ჩათვლით) გულისხმობს სასწავლო წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას.

1. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 10, დამრგვალების გარეშე, იღებს ოქროს მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს.
2. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი, იღებს ვერცხლის მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს.
3. პირზე, რომელმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კლასის/კლასების, ან საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები წარჩინებით დაძლია ექსტერნატის ფორმით, ოქროსა და ვერცხლის მედალი და შესაბამისი სერტიფიკატები არ გაიცემა (ესგ. მუხლი 37. მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება, პუნქტი 4).

10-1. მოსწავლის წახალისების ფორმები (დანართი 10.2.)

სწავლაში მოპოვებული წარმატებისათვის (საგნობრივ ეროვნულ ოლიმპიადებში მონაწილეობა), საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის ან/და სხვა სახის წარმატებისათვის (სპორტი, ხელოვნების სფერო და სხვ...) სკოლა უფლებამოსილია მოსწავლის მიმართ გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმები;

სკოლა „ალბიონში“ დღეისათვის გამოიყენება მოსწავლეთა წახალისების შემდეგი ფორმები:

- სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება;
- სიგელით/დიპლომით დაჯილდოება;
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- სკოლის ვებ გვერდზე ან FACEBOOK გვერდზე წარმატების ამსახველი ინფორმაციის განთავსება
- სკოლის რადიოხაზის საშუალებით მილოცვა
- მოსწავლის მშობლებისათვის სამადლობელი ბარათის გაგზავნა
- „საპატიო ალბიონელის“ წოდების მინიჭება

„საპატიო ალბიონელის“ წოდება ენიჭება სკოლა „ალბიონის“ კურსდამთავრებულს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- ❖ საბაზო და საშუალო საფეხურებზე სწავლობს სკოლა „ალბიონში“

- ❖ III საფეხურის საერთო ნიშანი აქვს 10 ქულა
- ❖ XII კლასში აქვს წლიური უმაღლესი რეიტინგული ქულა
- ❖ არის ოქროს ან ვერცხლის მედალოსანი
- ❖ მიაღწია წარმატებას ქვეყნის ეროვნულ-საგნობრივ ოლიმპიადაში
- ❖ აქტიურად მონაწილეობს სასკოლო და საქალაქო ღონისძიებებში

წახალისების გამოყენების წესი

1. მოსწავლის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი, რომელსაც მიმართავს მასწავლებელი ან კლასის დამრიგებელი მოსწავლის წახალისების მოთხოვნით.
2. დირექციის წარდგინების საფუძველზე პედაგოგიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას „საპატიო ალბიონელის“ წოდების მინიჭების შესახებ.
3. მოსწავლის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

იზიარებს რა ინკლუზიური განათლების პრინციპებს, სკოლა მოწოდებულია წარმართოს თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებისათვის სკოლა მიმართავს სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია (შეგუება), ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ალტერნატიული სასწავლო მიზნები, ალტერნატიული სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა).
2. საგანმანათლებლო საჭიროების შესაბამისად, სსსმ მოსწავლისთვის სკოლა უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციას, სასწავლო გარემოს აკომოდაციას და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავებას.
3. მოსწავლისათვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციის საჭიროებისას სკოლა შეიმუშავებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივ და/ან თვისებრივ ცვლილებებს, რაც შესაძლებელია გულისხმობდეს სასწავლო მიზნების რაოდენობრივ შემცირებას, გამარტივებას მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

4. სასწავლო გარემოს აკომოდაციის საჭიროების მიხედვით სკოლას უკვე განხორციელებული აქვს სასწავლო გარემოს ისეთი ცვლილება, როგორცაა შიდა პანდუსისა და სანიტარული წერტილების მოწყობა. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, და სპეციალური მასწავლებელი სკოლას გააჩნია შესაძლებლობა და მატერიალური რესურსები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს და პირობების შესაქმნელად ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებში:

- ა) ინსტრუქციის აკომოდაცია;
- ბ) გარემო პირობების აკომოდაცია;
- გ) შეფასების აკომოდაცია;
- დ) დროის, გრაფიკის აკომოდაცია.

გამოყოფილია ფართი რესურსოთახისათვის, შეძენილია კომპიუტერული ტექნიკა და ამჟამად დაგეგმილია ინკლუზიური განათლებისათვის საჭირო სასწავლო მასალების შეძენა. მიმდინარე სასწავლო წლის დასასრულისთვის სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სკოლის ძირითად კორპუსზე ლიფტის დამონტაჟება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს შშმ პირების სასწავლო პროცესში შეუფერხებლად ჩართვას (საჭიროების შემთხვევაში).

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (დანართი 11.1.)

სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი, რომელმაც მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, გამოაცხადა კონკურსი უფროსი სპეციალური მასწავლებლის ვაკანტურ 2021-2022 სასწავლო წელს გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე სკოლას ჰყავს უფროსი სპეციალური მასწავლებელი.

იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ დაესწრება გაკვეთილებს. სკოლა შეუდგენს მას ინდივიდუალური სწავლების განრიგს, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.

სკოლაში ინკლუზიური განათლების განხორციელების ხელშესაწყობად ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდება შიდა მონიტორინგი. სკოლაში მონიტორინგის განხორციელების პერიოდში მოხდება საგნის მასწავლებლებთან, სპეციალურ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და მშობელთან/მშობლებთან გასაუბრება. შიდა მონიტორინგი წარმართება სპეციალურად ამ მიზნით შემუშავებული ინსტრუმენტის “ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესის” მიხედვით (დანართი N 11- 3).

სკოლა გეგმავს პერიოდული მონიტორინგის საშუალებით დააკვირდეს საგნის მასწავლებელთა მუშაობას სსსმ მოსწავლესთან, რისთვისაც გამოიყენება მონიტორინგის სასკოლო ფორმა (დანართი N 11.2.).

მონიტორინგის შედეგები ეცნობება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შედეგების განხილვიდან არაუგვიანეს ერთი კვირის დანართი :

11.1. ისგ-ის სარეკომენდაციო ფორმა

11.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგის ფორმა

11.3. ინკლუზიური განათლების მონიტორინგის განხორციელების წესი

12. საგნობრივი კათედრები (აღნიშნულ თავს აქვს კათედრის დებულების ფუნქცია)

კათედრა წარმოადგენს სკოლის ერთი საგნობრივი ჯგუფის/ჯგუფების მასწავლებელთა გაერთიანებას.

საკუთარ საქმიანობას კათედრა ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი საგნობრივი კათედრები:

- ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა - ხელმძღვანელი რუსუდან აბულაძე
- მათემატიკის კათედრა - ხელმძღვანელი ლელა ბარათაშვილი
- უცხოური ენების კათედრა - ხელმძღვანელი მაკა ბოხოჩაძე
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა - ხელმძღვანელი თინათინ ჩალაძე
- სპორტისა და ესთეტიკის კათედრა - ხელმძღვანელი ვასილ ქოჩიევი
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა - ხელმძღვანელი ნინო მარტყოფლიშვილი

კათედრის ფუნქციები:

- სასკოლო კურიკულუმის დადგენა;
- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;
- კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- საგაკვეთილო პროცესისათვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისათვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა (გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამხმარე ლიტერატურა, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება

/რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ./, ბიბლიოთეკა, თეატრი, მუზეუმი, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი გარემო და სხვ.) და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;

- რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
- შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზის გაკეთება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.
- საგნობრივ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში მოსწავლეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა.
- სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);
- ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;
- სასკოლო კურიკულუმების საგნობრივი გეგმების განხილვა და დამტკიცება კათედრის სხდომაზე.
- შემაჯამებელი სამუშაოების სემესტრული ნორმების დადგენა, შეფასების რუბრიკებისა და კრიტერიუმების შემუშავება.
- აქტიური მონაწილეობა სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.
- სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ასამაღლებლად მოსწავლეთა შედეგების მონიტორინგი და ანალიზი.
- თითოეული კლასისათვის კომპლექსურ შემაჯამებელი სამუშაოების ნორმების შესრულებისა და ხარისხის მონიტორინგი.
- საგნობრივი გამოცდების (ასეთის არსებობის პირობებში), სასკოლო შემაჯამებელი სამუშაოებისა და მონიტორინგის სხვა შედეგების ანალიზის განხილვა საგნობრივი კათედრების სხდომებზე. საგნის სწავლების ხარისხის ასამაღლებლად რეკომენდაციების შემუშავება.
- სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს ანგარიშის წარდგენა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე საგნის სწავლების მდგომარეობის შესახებ.
- რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
- თანამშრომლობა სკოლის „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფთან“

თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- ✓ შემაჯამებელი დავალების ნომერი,
- ✓ შემაჯამებელი დავალების პირობა,
- ✓ საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება;
- ✓ დასკვნები/მიგნებები, რომელიც გამოხატავს არსებულ ხარვეზებს და მისი გაუმჯობესების ხედვას.
- ✓ კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები;
- ✓ მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

კათედრების მოწყობა: კათედრის ხელმძღვანელს ხმათა უმრავლესობით ირჩევს კათედრა არაუმეტეს 3 სასწავლო წლის ვადით, ამტკიცებს სკოლის პედაგოგიური საბჭო და ნიშნავს სკოლის დირექტორი ბრძანებით. მიმდინარე სასწავლო წელს ცვლილება განხორციელდება საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნების კათედრის შემთხვევაში. სხვა კათედრის გამგეთა შემადგენლობა უცვლელია.

კათედრის ხელმძღვანელის მოვალეობები:

- კათედრის რეგულარული შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);
- კათედრის დოკუმენტაციის წარმოების მონიტორინგი;
- სკოლის მართვის ორგანოებისათვის კათედრის შეხვედრების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებათა მიწოდება (გრიფინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის არჩევის თაობაზე);
- პროფესიული განვითარებისათვის სასარგებლო აქტივობების (კოლეგებთან შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვ.) ორგანიზება;
- სასკოლო კურიკულუმების, თემატური მატრიცებისა და კომპლექსური შემაჯამებელი დავალებების შეფასებისა და ანალიზის სქემის განხილვა-დახვეწა და მომზადება 2023-2024 სასწავლო წლისათვის.

შენიშვნა:

1. კათედრა იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ, (მათ შორის, სემესტრის დასრულებისას საგნის სწავლების შეჯამებისა და ანალიზის მიზნით). კათედრა უცილებლად უნდა იკრიბება სასწავლო წლის დაწყებამდე 10 დღით ადრე.

2. საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება დამატებითი სხდომის ჩატარება.

საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით კათედრა:

- მასწავლებლებზე საგაკვეთილო საათების განაწილებას და კლასებისა და საგნების მიხედვით განსაზღვრულ შემაჯამებელი სამუშაოების რაოდენობას დასამტკიცებლად წარუდგენს პედაგოგიურ საბჭოს.
- ატარებს მოსწავლეების აკადემიურ მიღწევათა დიაგნოსტიკას, ანალიზებს მიღებულ შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს;
- ატარებს მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების კვლევას და შედეგებისა და მასწავლებელთა ინდივიდუალური განვითარების გეგმებზე დაყრდნობით შეიმუშავებს კათედრის პროფესიული განვითარების ერთიან გეგმას;
- ატარებს კომპლექსურ კვლევებს სკოლის განვითარების გეგმით გათვალისწინებული საკითხების მიხედვით, კათედრის პროფილის შესაბამისად;
- ხელმძღვანელობას უწევს მასწავლებლებისა და მოსწავლეების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
- ახორციელებს აქტუალური პედაგოგიური გამოცდილების ანალიზსა და განზოგადებას;
- შეიმუშავებს ახალ სასწავლო კურსებს და ხელმძღვანელობს მათი აპრობაციისა და სკოლის სასწავლო გეგმაში დანერგვის პროცესს;
- ქმნის აქტუალური პედაგოგიური გამოცდილების, სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურისა და ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიების მონაცემთა საინფორმაციო ბანკს.
- შეიმუშავებს მოსწავლეებისა და მასწავლებლების მოტივაციისა და სტიმულირების მექანიზმებს;
- თანამშრომლობს სკოლის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფთან და მათთან ერთად გეგმავს მასწავლებელთა პროფესიული სრულყოფის ღონისძიებებს.
- ზრუნავს რესურსების მუდმივ განახლებაზე და აქტიურად გამოიყენებს ინტერნეტ სივრცეში არსებულ სასწავლო რესურსებს (აუდიო და ვიდეო ჩანაწერები).
- ამზადებს რეკომენდაციებს და ზრუნავს მასწავლებლებში დისტანციური სწავლების უნარ-ჩვევების გასავითარებლად.

დანართი 12.1. კათედრის საქმიანობის განხორციელების მატრიცა

13. დაზუსტებული სააღმზრდელო პროგრამები (აღნიშნულ თავს აქვს სააღმზრდელო საქმიანობის დებულების ფუნქცია)

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილებით დამტკიცებულ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში, განსაზღვრულია თუ როგორი თაობების აღზრდას უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს ზოგადი განათლების სისტემამ. ამ მიზნების განხორციელების ხელშეწყობას ემსახურება სკოლა „ალბიონის“ სააღმზრდელო პროგრამა.

1. შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონში“-ში ყველა კლასს ჰყავს **აღმზრდელი**. აღმზრდელი სკოლის თანამშრომელია და მისი მუშაობის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში;

აღმზრდელები სადამრიგებლო პროგრამას განახორციელებენ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გამოცემული პუბლიკაციების დახმარებით: „სადამრიგებლო საათის პროგრამა I-IV კლასების მოსწავლეთათვის (დამრიგებლის წიგნი)“ (თბილისი, 2010) და „სადამრიგებლო საათის პროგრამა V-IX კლასების დამრიგებლებისათვის“ (თბილისი, 2011). აგრეთვე, სკოლის მიერ შემუშავებული სასწავლო სააღმზრდელო მასალების დახმარებით.

2. აღმზრდელის მუშაობა ემყარება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ხელს უწყობს მოსწავლეებში გონებრივი, სოციალური და ფიზიკური უნარების განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მომავალ კარიერულ და პროფესიულ არჩევანს, სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას; ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობიერებაში.

სააღმზრდელო პროგრამის ამოცანაა საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დააყენოს თითოეული მოსწავლე და თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით განუვითაროს მათ ზოგადი და აკადემიური უნარები;

3.აღმზრდელის მუშაობა წარიმართება შემდეგი პრინციპებით:


ა) **სრულფასოვანი აღზრდა** - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;

ბ) **მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა** - აღმზრდელის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;

გ) მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება - აღმზრდელმა მოსწავლეებს საშუალება უნდა მისცეს, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში; ბოლო პერიოდში მსოფლიოში გავრცელებული ახალი კორონავირუსის Covid-19 შედეგად კაცობრიობის წინაშე მდგარი პრობლემების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ცხოვრების ჯანსაღი წესისა და ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის სისტემატური მიწოდება მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის. სკოლის სამედიცინო სამსახურის საშუალებით ერთობლივი პროექტების განხორციელება კორონავირუსის და სხვა ინფექციური დაავადებების გავრცელების საპრევენციო საშუალებების თაობაზე და სოციუმის თითოეული წევრის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე.

დ) თანამშრომლობის პრინციპი – აღმზრდელის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, პატივისცემასა და ნდობას.

3. სააღმზრდელო საათის ფუნქციები:



4. სააღმზრდელო საათის მიზანია, მოსწავლის კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. სააღმზრდელო საათის ფარგლებში აღმზრდელი, ასაკის შესაბამისად, იმუშავებს შემდეგ მიმართულებებზე:

ა) პიროვნული და მორალური განვითარება;

- ბ) გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება;
- გ) ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია;

დ) კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების გზების სწავლება, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს პოპულარიზაცია; ბულინგის პრევენცია;

ე) მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერების ამაღლება;

ვ) თვალსაწიერის გაფართოება;

ზ) მეწარმეობის უნარების განვითარება.

თ) კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ ორიენტაციაზე ზრუნვა

აღმზრდელი ვალდებულია კლასის მოსწავლეებთან ჩაატაროს შემდეგი სამუშაოები: კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით საუბრები, დისკუსიები, ვიქტორინები, ზეიმები, ექსკურსიები, ლაშქრობები, მოსწავლეებისათვის შეხვედრების მოწყობა ცნობილ ადამიანებთან, პოეტებთან და სხვა საზოგადო მოღვაწეებთან.

კლასის აღმზრდელი უნდა თანამშრომლობდეს მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან, სკოლის ფსიქოლოგთან და სამედიცინო სამსახურთან, ხელს უწყობდეს სხვადასხვა კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (მაგ.: ბიბლიოთეკებთან, მუზეუმებთან და სხვ.) ურთიერთობის დამყარებას.

5. აღმზრდელის მოვალეობებია:

- ❖ სასწავლო პროცესის დაწყებამდე 15 წუთით ადრე გამოცხადდეს სკოლაში, მიიღოს და გაკვეთილების დამთავრების შემდეგ გააცილოს სააღმზრდელი კლასი.
- ❖ დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს, თუ მოსწავლის ჯანმრთელობას ან პირად უსაფრთხოებას საშიშროება დაემუქრა.
- ❖ გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.);
- ❖ აწარმოოს გაკვეთილებზე მოსწავლეთა გამოცხადების ყოველდღიური აღრიცხვა და ოპერატიულად დაადგინოს მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის მიზეზები. საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.
- ❖ (ესგ.დამატება). მოსწავლის ზედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში, კლასის აღმზრდელი ვალდებულია მოამზადოს წერილობითი

ანგარიში მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზების დასადგენად და მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის შესახებ, რომელსაც სკოლა მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს რესურსცენტრს, ხოლო ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მართვის მიზნით, სკოლა ვალდებულია კლასის აღმზრდელთან ერთად ჩართოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მასთან რეფერირებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ახორციელებს ვიზიტს ოჯახში აღმზრდელის მიერ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით დასახული ღონისძიებების გაუტარებლობის მიზეზების დასადგენად და/ან მიღწეული შედეგების მდგრადობის შესაფასებლად.

- ❖ დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს, თუ მოსწავლის ჯანმრთელობას ან პირად უსაფრთხოებას საშიშროება დაემუქრება;
- ❖ დაწყებით საფეხურზე ჩაატაროს სააღმზრდელო საათი არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, საბაზო-საშუალო საფეხურებზე - არანაკლებ თვეში ერთხელ. სადამრიგებლო საათის ფარგლებში აღმზრდელმა მოსწავლის ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს სხვადასხვა უნარის განვითარებაზე (მაგ.: კითხვის უნარის განვითარება (დაწყებით საფეხურზე), გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება, სხვადასხვა ინფექციების (მათ შორის კორონავირუსის) გავრცელების საპრევენციო და საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის და სხვა საკითხებზე, სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით. (დანართი N 13.1. დანართი N 13.2.).
- ❖ იზრუნოს ჯანსაღი საკლასო გარემოს შექმნისათვის. დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;
- ❖ იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;
- ❖ დაესწროს გაკვეთილებზე, მოსწავლეთა აკადემიურ მაჩვენებლებზე დაკვირვება , საჭიროების შემთხვევაში დახმარების გაწევა საგნების მასწავლებლებთან ერთად.
- ❖ აწარმოოს დაკვირვება მოსწავლეთა ქცევაზე, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს

სათანადო ზომები ან/და იზრუნოს საკლასო კონფლიქტის დარეგულირებაზე.

- ❖ იზრუნოს ნიჭიერ მოსწავლეთა გამოვლენაზე და მათთან ინდივიდუალური მუშაობის ჩატარების უზრუნველყოფაზე.
- ❖ რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი;
- ❖ მოსწავლის მიერ დისციპლინური დარღვევის შესახებ ოპერატიულად აცნობოს მშობელს და უზრუნველყოს მასთან ინდივიდუალური შეხვედრა.
- ❖ ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით დაამყაროს სისტემატიური კომუნიკაცია მშობლებთან, შვილის სწავლა-აღზრდის საკითხებზე.
- ❖ საჭიროების შემთხვევაში, შეხვედეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- ❖ სასწავლო წლის ბოლოს გაანალიზოს სააღმზრდელო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციისა და საგაკვეთილო პროცესზე პირადი დაკვირვების საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვებისა და დახმარების გაწევის მიზნით; დახასიათებაში უნდა აისახოს როგორც აკადემიური, ასევე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მოსწავლის მონაწილეობა სკოლის სასკოლო კლუბებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში; დახასიათებაში ასევე გაანალიზებული უნდა იყოს ყველა ის საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია მოსწავლის კოგნიტური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის). **დანართი 13. 3.**
- ❖ აღმზრდელი ვალდებულია რეგულარულად ჩაატაროს ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან, მშობელთა კრებები და აწარმოოს სათანადო ჩანაწერები ოქმის დამტკიცებული ფორმის შესაბამისად; ასევე ჩაატაროს სააღმზრდელო საათი განრიგისა და თემატიკის შესაბამისად.
- ❖ მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, აღმზრდელმა უნდა მოამზ

ადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ და მოათავსოს მოსწავლის პირად საქმეში. (დანართი N 13.4.)

- ❖ აღმზრდელი ვალდებულია წესების შესაბამისად აწარმოოს სააღმზრდელო კლასის მოსწავლეთა პირადი საქმეები, მოაწესრიგოს საკლასო დოკუმენტაცია, დააწესოს მონიტორინგი როგორც ონლაინ, ასევე კონტაქტურ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობაზე, თვალი ადევნოს ელექტრონული საკლასო ჟურნალის წარმოებას. აგრეთვე, აწარმოოს სააღმზრდელო პორტფოლიო პირველი და მეორე სემესტრების დასაწყისში შეადგინოს სააღმზრდელო პროგრამები (კლასის სააღმზრდელო გეგმა დანართი 13. 6.) და უზრუნველყოს მისი შესრულება.
- ❖ აღმზრდელი ვალდებულია კვირაში ერთხელ ჩაატაროს:
 - I-IV კლასებში - კითხვის საათი, რომელიც ორიენტირებული იქნება წიგნიერების კომპეტენციის გაძლიერებაზე შემდეგი მეთოდებით:
 - ა) კითხვის ტექნიკის გაძლიერებით
 - ბ) წაკითხულის განხილვა-გააზრებით
 - გ) ანალიზის უნარის განვითარებით
 - დ) მსჯელობის უნარის განვითარებით
 - ე) პრეზენტაციის უნარის განვითარებით
 - ვ) შემოქმედებითი უნარების განვითარებით
 - X- XI კლასში - საუბრები და დისკუსიები ცხოვრების ჯანსაღი წესისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების თემატიკაზე.
- ❖ აღმზრდელი ვალდებულია ყველა სააღმზრდელო კლასში გარკვეული დრო დაუთმოს კატასტროფის რისკების თავიდან აცილების უნარების განვითარებას. ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეებს კატასტროფების რისკებისა და მათი თავიდან აცილების ხერხების შესახებ. დაგეგმოს და მოაწყოს სიმულაციები და სხვა საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებები.
- ❖ რეკომენდებულია, სკოლის აღმზრდელი გაეცნოს სამინისტროს და სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ შემუშავებულ და/ან რეკომენდებულ შესაბამის მეთოდურ სახელმძღვანელოებსა და გზამკვლევებს.

საჭიროების შემთხვევაში სკოლის ისგ ჯგუფის წევრი იქნება სსსმ მოსწავლის კლასის აღმზრდელი;

- ❖ სასწავლო წლის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში დირექციაში დასამტკიცებლად წარადგენს კლასის სააღმზრდელო პროგრამას.
- ❖ სააღმზრდელო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და სოციალურ განვითარებას. აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს, რაც წარმოადგენს მოსწავლეებსა და მასწავლებელ-აღმზრდელს შორის პოზიტიური ურთიერთობების საფუძველს. სააღმზრდელო საათზე მოსწავლეებს შეუძლიათ გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, ახსნან მოქმედებები, აღიარონ შეცდომები ისე, რომ არ განაწყენდნენ. მასწავლებელი, რომელიც პოზიტიურად იყენებს სააღმზრდელო შეხვედრებს, მჭიდროდ თანამშრომლობს თავის მოსწავლეებთან და იმსახურებს მათ ნდობას. ეს კი საშუალებას აძლევს მას, კარგად იცნობდეს თავის მოსწავლეებს, გაითვალისწინოს მათი ინდივიდუალური თავისებურებები და საჭიროებანი.
- ❖ ქვეყანაში ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შემთხვევაში მოახდინოს მოსწავლეთა და მათი მშობლების ინფორმირება სპეციალური რეკომენდაციების გასაცნობად და აწარმოოს მონიტორინგი დისტანციურ სწავლებაში მოსწავლეთა ჩართვის საშუალებებზე და გაკვეთილში მონაწილეობის ხარისხის დასადგენად.
- ❖ სკოლის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით აღმზრდელები SCHOOLBOOK-ის, ელექტრონული ჟურნალის, მესენჯერის და სხვა საშუალებით ახდენენ მშობელთა სისტემატურ ინფორმირებას, მათი შვილების სასწავლო წარმატების შესახებ, ხოლო კლასის მშობელთა კრებაზე ან დახურულ FACEBOOK-ჯგუფში განიხილავენ საერთო სასკოლო და საკლასო საკითხებს.
- ❖ დირექციასთან შეთანხმებით მოახდინოს სასწავლო ექსკურსიების ორგანიზაცია (**დანართი N 13.5. ექსკურსიის ორგანიზების წესი**).
- ❖ მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასურის დროულად გადახდის ორგანიზაცია.
- ❖ მოსწავლის მიერ ქვევის კოდექსის უხეზად დარღვევის, შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის, ასევე მკვეთრი აკადემიური ჩამორჩენისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ, აღმზრდელი ვალდებულია დროულად ჩააყენოს საქმის კურსში ადმინისტრაცია.
- ❖ კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებების ჩატარების საკითხს აღმზრდელი წინასწარ ათანხმებს სკოლის ადმინისტრაციასთან.

სააღმზრდელო პორტფოლიო მოიცავს:

1. კლასის მოსწავლეთა მონაცემებს
2. კლასის სააღმზრდელო გეგმას
3. შეხვედრების განრიგს და თემებს
4. სააღმზრდელო საათის ნიმუშებს და ოქმებს
5. კლასის მოსწავლეთა ზოგად ასაკობრივ დახასიათებას
6. მშობელთა კრების ოქმებს
7. სხვა (ლონისძიებების ამსახველი მასალა...)

14. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების, გადახედვის პროცესი და ხარისხის უზრუნველყოფა

სასკოლო სასწავლო გეგმა ხელს უწყობს სკოლის მისიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა მოთხოვნები და სკოლის მიერ დაგეგმილი საქმიანობა საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმითა და სკოლის მისიით გათვალისწინებული ცოდნა და უნარ-ჩვევები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება:

- სკოლის ხელმძღვანელობა
- საგნობრივი კათედრები
- კლასის აღმზრდელები
- მოსწავლეები
- მშობლები

2021-2022 სასწავლო წლის მეორე ნახევარში ჩატარდა მრავლი სახის გამოკითხვა სასკოლო საზოგადოების მიერ სკოლის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის შეფასების მიზნით. თითოეული მათგანის პოზიცია გათვალისწინებულ იქნა, სასკოლო სასწავლო გეგმისა და სხვა პროფესიული მიმართულების გეგმების შემუშავების პროცესში. ასეთი მიდგომა, როდესაც ადმინისტრატორებსა და სასკოლო საზოგადოებას აქვთ ერთიანი ხედვა ძირითად სასწავლო შინაარსსა და სწავლების საერთო პრინციპებსა და მიდგომებზე, განაპირობებს პროცესების ეფექტიანობას. სკოლის სამოქმედო გეგმით, მიმდინარე, 2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა სასკოლო სასწავლო პროცესისა და გარემოს შეფასების მიზნით.

სკოლის ხელმძღვანელობა თავის საქმიანობას წარმართავს სასკოლო საზოგადოების სკოლის ხედვაზე, მისიასა და ღირებულებებზე ფოკუსირებისათვის. სკოლის უმთავრეს ამოცანად მივიჩნევთ მოსწავლის მიღწევებსა და წარმატებებს და მთელ სასკოლო საზოგადოებას ხელს ვუწყობთ მისი განხორციელებისათვის. სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობისა და ადმინისტრაციული ფუნქციების წარმატებულად შესრულებით უზრუნველვყოფთ პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას და სკოლის მიზნების მიღწევას;

ცნობილია, რომ მიზნების მიღწევა შესაძლებელია, თუ სასწავლო გეგმები, სწავლება და შეფასება თანმიმდევრულია და შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს. ამ მიზნით მივმართავთ მონაცემთა შეგროვებას მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიღწევების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენება სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებისა და მოსწავლეების შედეგების ამაღლებისათვის.

გვჯერა, რომ უსაფრთხო, დისციპლინირებული, პოზიტიური, ჯანსაღი, წამახალისებელი და ინტელექტუალურად მასტიმულირებელი გარემო ქმნის მოსწავლეების სწავლისა და წარმატებისთვის ხელსაყრელ პირობებს;

მივიჩნევთ, რომ მოსწავლეების განათლება არა მხოლოდ მასწავლებლების, არამედ ოჯახებისა და საზოგადოების წარმომადგენლების პასუხისმგებლობაცაა, შესაბამისად, მათ დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ ამ მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებაში.

2. მონიტორინგი და შეფასება

- **მონიტორინგი** - სპეციფიკური ინდიკატორების მიხედვით მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზების სისტემური პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს მოცემული სიტუაციის შესწავლას და მიღებულ შედეგზე დაყრდნობით შესაბამისი ჩარევების განხორციელებას.
- **შეფასება** - მონიტორინგის შედეგზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის ანალიზი.
- **სწავლა-სწავლების პროცესის მონიტორინგს ახორციელებს** - სკოლის ადმინისტრაცია; საგნობრივი კათედრები; ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი;
- **საადმინისტრაციო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს** - სკოლის დირექცია;
- **ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი სტანდარტის მიღწევების მონიტორინგს ახორციელებს** - საგნობრივი კათედრები; ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი; ადმინისტრაცია;
- **მოსწავლეთა მიღწევების მონიტორინგს ახორციელებს** - მასწავლებლები; საგნობრივი კათედრები; ადმინისტრაცია;

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მონიტორინგს ახორციელებს - საგნობრივი კათედრები; ადმინისტრაცია;
- სასკოლო გარემო და სკოლის საერთო კულტურა -ადმინისტრაცია; მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები.
- შეფასებას ახორციელებს სკოლის ადმინისტრაცია და საგნობრივი კათედრები;

3. მონაცემთა შეგროვების წყაროები:

- თითოეული საგნის/საგნობრივი ჯგუფების გაწერილი სასწავლო გეგმები;
- მოსწავლეთა მიღწევების ამსახველი დოკუმენტაცია (გამოკითხვის შედეგები, შეფასების დინამიკა, შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი და სხვ.);
- მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრების მასალები;
- საგნობრივი კათედრების დოკუმენტაცია;
- მასწავლებლების პორტფოლიოები;
- ბიბლიოთეკის/კომპიუტერული ცენტრის/სასწავლო კაბინეტების რესურსები;
- კლასის აღმზრდელების პორტფოლიოები;
- მოსწავლეთა საშემსრულებლო დისციპლინის მონიტორინგის შედეგები;
- სხვადასხვა საგნებში სწავლების გასამლიერებლად სკოლაში არსებული მასალა;
- საგნობრივ კათედრებსა და კათედრებს შორის არსებული თანამშრომლობის ამსახველი მასალა;
- სასკოლო საზოგადოებისა და მშობლების გამოკითხვის მასალები.

აღნიშნულ მონაცემთა საფუძველზე მოხდება სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა.

4. სკოლის შეფასების სტრატეგიის მიზანია უზრუნველყოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესება და სწავლების ხარისხის გაზრდა.

სასკოლო შეფასების ნაწილებია:

- ადმინისტრაციის შეფასება
 - მასწავლებლების შეფასება
 - მოსწავლეების შეფასება
 - სასწავლო პროცესის შეფასება
 - სასწავლო გარემოს შეფასება
 - თვითშეფასება
 - კვლევა
- შენიშვნა: მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა უპირატესობას მიანიჭებს თვითშეფასებისა და კვლევის მეთოდებს.

სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესს გეგმავს და ზედამხედველობას უწევს სკოლის ადმინისტრაცია. იგი შეიმუშავებს:

- შეფასებისა და დაკვირვების ფორმებს;
- შეფასების სტრატეგიის დოკუმენტს;
- შეიმუშავებს მოსწავლეთა წახალისების სტრატეგიას;
- აფასებს სასწავლო კურიკულუმებს;
- ამუშავებს პედაგოგთა შეფასების სტრატეგიებს;
- შეიმუშავებს კითხვარებს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლებისათვის;
- ამუშავებს გაკვეთილის შეფასების სტრატეგიებს;
- მონიტორინგს უწევს შეფასების პროცესის მიმდინარეობას;
- აჯამებს და ანალიზებს მიღებულ შედეგებს;
- იკვლევს და აფასებს სააღმზრდელო პროგრამის მიმდინარეობას;
- ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე;
- შედეგებიდან გამომდინარე სთავაზობს სკოლის დირექციას მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვის რეკომენდაციებს;

შეფასებაში სკოლის საზოგადოების ჩართულობა ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მასწავლებლების აზრის გათვალისწინება დადებითად აისახება სწავლა-სწავლების პროცესზე, ვინაიდან შეფასება აღქმული იქნება როგორც პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი. გარდა ამისა, მონიტორინგის ჯგუფი განვითარებს კვლევის უნარ-ჩვევებს, რაც დაეხმარებათ როგორც პროფესიულ განვითარებაში, ასევე საგაკვეთილო პროცესის უკეთ დაგეგმვასა და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლისა და მასწავლებლის მიერ პროცესის შეფასებას.

2023-2024 სასწავლო წელს სკოლის სამუშაო გეგმის შესაბამისად ჩატარდება შემდეგი სახის მონიტორინგი:

1. სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის დონის დასადგენად 2023-2024 სასწავლო წლის I სემესტრში სკოლა გეგმავს დამატებითი სასკოლო შემაჯამებელი სამუშაოების ჩატარებას (დანართი 14.1.):
 - ქართულ ენასა და ლიტერატურაში - VII (I სემესტრში) და X (II სემესტრში) კლასებში, პროგრამული მასალის ათვისების დიაგნოსტიკების მიზნით და XII

კლასებში (როგორც I ისე II სემესტრში) სააბიტურო კურსის მასალის ათვისების დონის დასადგენად.

- მათემატიკაში VII და IX კლასებში (II სემესტრში), პროგრამული მასალის ათვისების დიაგნოსტიკების მიზნით. აგრეთვე XII კლასებში (როგორც I ისე II სემესტრში) სააბიტურო კურსის მასალის ათვისების დონის დასადგენად.
- ისტორიაში VIII და IX კლასებში (I სემესტრში), პროგრამული მასალის ათვისების დიაგნოსტიკების მიზნით.
- ინგლისურში VIII, X და XI კლასებში (II სემესტრში) პროგრამული მასალის ათვისების დიაგნოსტიკების მიზნით და XII კლასებში (როგორც I ისე II სემესტრში) სააბიტურო კურსის მასალის ათვისების დონის დასადგენად.
- რუსულ ენაში VII კლასში (I სემესტრში) და IX კლასში (II სემესტრში) პროგრამული მასალის ათვისების დიაგნოსტიკების მიზნით.
- ბიოლოგიაში VIII კლასში (I სემესტრში) და X კლასში (II სემესტრში) პროგრამული მასალის ათვისების დიაგნოსტიკების მიზნით.
- ფიზიკაში VII კლასში (II სემესტრში) პროგრამული მასალის ათვისების დიაგნოსტიკების მიზნით.

ამასთან, დაწყებითი საფეხურის დამამთავრებელ კლასებში (IV და VI კლ.) სასწავლო წლის ბოლოს (მაისი) ჩატარდება სასკოლო კვლევა მოსწავლეთა მიერ:

- IV კლასში - ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში და ინგლისურ ენაში კლასის სტანდარტის, ხოლო
- VI კლასში - ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში და ბუნებისმეტყველებაში დაწყებითი საფეხურის სტანდარტი გათვალისწინებული შედეგების მიღწევის დიაგნოსტიკების მიზნით.
- საშუალო საფეხურზე (X, XI, XII კლასებში)
- მოსწავლეთა მოლოდინებისა და ინტერესების კვლევა არჩევითი საგნების სწავლებასთან დაკავშირებით;
- დამატებითი სასკოლო შემაჯამებელი სამუშაოებისა და სასკოლო კვლევის ფარგლებში მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასებისათვის გამოყენებულ იქნება განმავითარებელი შეფასება. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება პროგრამული მასალის დაძლევის ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად და სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. მოსწავლეთა მიერ კვლევის დროს მიღებული შეფასება არ აისახება მათ სემესტრულ და წლიურ შედეგებზე. კათედრის მიერ გაკეთებული ანალიზი გამოყენებულ იქნება 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის კორექტირებისათვის და სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

2. მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის შეფასების მიზნით **2023-2024 სასწავლო წელს** სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია წლიური გამოცდის ჩატარება შემდეგ კლასებში:

- ინგლისურში და გეოგრაფიაში - VII კლასში;
- მათემატიკაში - VIII, X, XI კლასებში;
- ქართულ ენასა და ლიტერატურაში - VIII, IX, XI კლასებში;
- ინგლისურ ენაში - VII, IX კლასებში;
- ისტორიაში - X კლასში;

11. გამოცდის ქულა აისახება საგნის წლიურ ქულაზე. საგნის წლიური ქულა გამოიყვანება შემდეგი ფორმულით: სამი შეფასების (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკული (დამრგვალებული მთელის სიზუსტით);

მონიტორინგს ატარებს სკოლის დირექცია საგნობრივ კათედრებთან ერთად. მონიტორინგის შედეგების ანალიზი განიხილება საგნობრივი კათედრების სხდომებზე, მოსწავლეთა და მშობელთა კრებებზე.

3. მიმდინარე სასწავლო წელს, მშობლებთან ურთიერთობის ფორმების დასახვეწად იგეგმება:

- საშუალო საფეხურის კლასებში პროექტის „მშობელი პროფესიის შესახებ“ განხორციელების გაგრძელება;
- კლასის მშობელთა კომიტეტებთან პერიოდული შეხვედრების მოწყობა მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ეფექტურობის გასაზრდელად.

4. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი სახის ფოკუსირებული დაკვირვებების განხორციელება:

- დაკვირვება სასწავლო პროცესზე
- დაკვირვება კლასის მართვაზე
- დაკვირვება მოსწავლეთა მიმდინარე შეფასების განხორციელებაზე
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მიღწეული შედეგების განხილვა, გამოწვევების, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობის შეფასება
- საშინაო დავალების დოზირებასა და უკუკავშირის სისტემაზე;
- საგნობრივი წრეებისა და კლუბების საქმიანობის მონიტორინგი
- ელექტრონული ჟურნალის წარმოებაზე;
- კლასის აღმზრდელთა საქმიანობაზე;
- სადამრიგებლო საათის ჩატარებაზე;
- საგნობრივი კათედრების სხდომებისა და პორტფოლიოს წარმოების შეფასებისათვის;

5. გაგრძელდება ყოველდღიური მონიტორინგი გაკვეთილებზე მოსწავლეთა გამოცხადებისა და დაგვიანებების აღრიცხვიანობის მიზნით.

6. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ადმინისტრაცია შემაჯამებელი პედსაბჭოს წარუდგენს ანგარიშს „სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასების, გადახედვისა და ხარისხის უზრუნველყოფის“ მიზნით გაწეული საქიანობის შესახებ;

7. პირველი სემესტრის შემაჯამებელ პედსაბჭოზე იგეგმება 2021-2022 სასწავლო წლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა;

მოსწავლეთა გაკვეთილზე გამოცხადებისა და დაგვიანებების მონიტორინგი

სკოლა სისტემატურად აწარმოებს გაკვეთილებზე მოსწავლეთა გამოცხადებისა და დაგვიანებების აღრიცხვიანობას (ყოველდღიურად - დანართი 14.2.), (პერიოდულად - დანართი 14.3.) მიხედვით.

1. მოსწავლის გაცდენები აღრიცხება მოსწავლეთა კლასის ელექტრონულ ჟურნალში, მათ შორის, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გაცდენები.

2. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს მოსწავლეთა დასწრება. აღრიცხვიანობის გაადვილების მიზნით მასწავლებელს შეუძლია აწარმოოს ჩანაწერი უბის წიგნაკში, ხოლო ჩანაწერები გადაიტანოს ელექტრონულ ჟურნალში არაუგვიანეს კვირის ბოლო სამუშაო დღისა.

3. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტი არ ვრცელდება იმ გაცდენილ დღეზე/დღეებზე, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა.

5. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე ეროვნულ და საერთაშორისო საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების

კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

6. გაკვეთილებიდან გარკვეული მიზეზით მოსწავლის გათავისუფლება (1 დღე ან რამდენიმე გაკვეთილი) ხდება ადმინისტრაციის მიერ კლასის დამრიგებლის შუამდგომლობის საფუძველზე და მოსწავლის მშობლის თხოვნის გათვალისწინებით.

შეუძლოდ ყოფნის შემთხვევაში, სკოლის ექიმთან ვიზიტი აუცილებელია. ასეთ შემთხვევაში დირექცია მოსწავლის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ექიმის მოწერილობის საფუძველზე, მშობელთან შეთანხმების შემდეგ;

7. ავადმყოფობის ან ერთ დღეზე მეტი ხნით გაკვეთილების გაცდენის შემდეგ, მოსწავლე სკოლაში ცხადდება ოჯახის ექიმის მიერ გაცემული ცნობის ან პჯრ ტესტის პასუხის წარმოდგენის შემდეგ.

8. თუ მოსწავლეს დასჭირდება მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით, ის გადაყვანილ იქნება შინ სწავლების რეჟიმზე, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. შინ სწავლების რეჟიმი შეიძლება იყოს, როგორც კონტაქტური, ისე დისტანციური.

9. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერებამდე, კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გარდა, სკოლა ვალდებულია განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის, ზედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში, კლასის აღმზრდელმა მოამზადოს წერილობითი ანგარიში მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზების დასადგენად და მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის შესახებ, რომელსაც სკოლა მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს რესურსცენტრს, ხოლო ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მართვის მიზნით, კლასის აღმზრდელთან ერთად ჩართოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მასთან რეფერირებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ახორციელებს ვიზიტს ოჯახში დამრიგებლის მიერ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით დასახული ღონისძიებების გაუტარებლობის მიზეზების დასადგენად და/ან მიღწეული შედეგების მდგრადობის შესაფასებლად.

ამ წესის შესასრულებლად, სკოლა სტანდარტული ფორმით (დანართი 14.4) მოახდენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით აღმზრდელის/სკოლის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა შესახებ ჩანაწერის ფორმის შევსებას, რომელიც განკუთვნილია სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრისათვის წარსადგენად.